ბრძოლის ხმა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

1932 წ. ივნისი
პარიზი

№ 25

1932 — JUIN
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⠿ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი და ანგორა

საბჭოთა პრესამ დიდის ზეიმით გამოაცხადა და ასწერა ოსმალეთის მთავრობის თავმჯდომარის ისმეტ ფაშის დარბაზობა მოსკოვში. დარბაზობა მართლაც დიდებული იყო; საბჭოთა მთავრობამ მიიღო ყოველივე ღონე სტუმართა გულის მოსაგებათ, გაუმართეს ნადიმი, მიღებები, ალლუმები—ერთი სიტყვით განიმეორეს მეფეთა დროის სტუმართმოყვარეობა. სტუმრებმაც სამაგიერო გადაუხადეს და მასპინძელთა ქება-დიდება უხვათ გადმოალაგეს. ამ შეხვედრას წინ უძღოდა ოსმალეთის პრესის ქათინაურები მოსკოვის მიმართ, სწერდენ და აქებდენ სტალინის «მიღწევებს», იმეორებდენ საბჭოთა პრესის ყველა ტრაბახობას. «სოციალისტური ეკონომიკის სისტემამ საბჭოთა კავშირისა, სწერდა ერთი ოფიციოზური გაზეთი, დააყენა ეს ქვეყანა ეკონომიური კრიზისის გარეშე და მეფობის დროს ჩამორჩენილი რუსეთი იმდენათ წინ წაიყვანა, რომ საბჭოთა რუსეთი ახლა გვერდში ამოუდგა ევროპის ყველაზე უფრო კულტურულ ქვეყნებს» და სხ. ამას მოყვა ქადაგება იმის, რომ საჭიროა საბჭოთა ეკონომიკის მაგალითით სარგებლობა და ოსმალეთშიაც მისი დაწესებულებების გადანერგვა.

ერთი სიტყვით, ხდება მოსკოვის და ანგორის არა მარტო დიპლომატიური დაძმობილება, არამედ ეკონომიური სტუქტურითაც დაახლოვება. ოსმალეთის გასაბჭოება უსაბჭოებოთ—დგება დღის წესრიგში. ამ მიზნით რუსეთში გაიგზავნა ოსმალეთის სპეცები, ხოლო ოსმალეთში იგზავნება ბოლშევიკების მოციქულები.

მთელ ამ ამბავს მჭიდრო კავშირი აქვს კავკასიასან და კავკასიის პრობლემასან და ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია ამ საგანზე შევჩერდეთ.

მეფეთა რუსეთი სამართლიანათ ითვლებოდა ოსმალეთის მტრათ. ამ მტრობის გამოჩენა და ფაქტიურათ განხორციელება მას შეეძლო მხოლოდ თავის საზღვრების ოსმალეთის საზღვრებამდე მიტანით. ეს ამოცანა მოსკოვმა შესძლო საქართველოს დახმარებით. ჩვენი ქვეყანა იძულებული სპარსეთ-ოსმალოს მუდმივი მტრობით იძულებული გახდა შემოეყვანა რუსეთი თავის ფიზიკური არსებობის გადასარჩენათ. ამით მოიშალა ოსმალეთ-რუსეთს შორის სახელმწიფო-ბუფერი და გზა გაეხსნა რუსებს დანარჩენი კავკასიისაკენ და მეზობელ სახელმწიფოებისაკენ. აი უტყუარი გაკვეთილი წასულის, მიმართული ოსმალეთის ინტერესის წინაალმდეგ მაგრამ შედეგი ოსმალეთის პოლიტიკისა ჩვენსში.

მეფობა დაეცა, ბოლშევიზმი აიშვა, მოხდა ნაციონალური რევოლიუციები, საქართველო და კავკასია აარსებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. გაჩნდა ხელახლა ბუფერი ოსმალეთს და რუსეთს შორის. ყველა ეს თითქოს შედიოდა ოსმალოს პოლიტიკის მხედველობაში, ისტორიული მტერი მას შორდებოდა და მაშასადამე ამ პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყო. ნამდვილათ კი მოხდა სულ წინაალმდეგი, ოსმალეთმა მიიღო ყველა ღონე ამ მოშორებული მტერის უკან დასაბრუნებლათ და თავის მოსაზღვრეთ გადასაქცევათ. მის თავსდასხმას სომხებზე მოყვა სომხეთის გასაბჭოება; აზერბეიჯანის გასაბჭოება მათივე რჩევით და ჩარევით მოხდა. ხოლო როცა საქართველოს იგივე მტერი თავს დაესხა, მეორე მხრით ოსმალო მოადგა და ბოლოს მოხდა ჩვენი ქვეყნის განაწილება ანგორა-მოსკოვს შორის (მარტის ხელშეკრულობა 1921 წ.). რამ გამოიწვია ოსმალოთა აზროვნების ასე შებრუნება? ამ პროცესის მონაწილე ოსმალოს ჟურნალისტი დეპუტატი იუნუს ნადი ამას ასე ხსნის თავის მემუარებში: «ჩვენი შეხედულობით ბოლშევიკური რუსეთი, მემკვიდრე ჩვენი ისტორიული მტერის ცარიზმის და იმავე დროს მცნობი ერთა თავისუფლების, ითვლებოდა უფრო მისაღებ და კარგ მეზობლათაც. ამ აზრის მომხრენი აღიარებდენ აუცილებლათ ბოლშევიკურ რუსეთთან დაახლოვებას და ამით შექმნას ჩვენი საგარეო პოლიტიკის მკვიდრი საფუძველისო» («იზვესტია», 25 აპრილი 1932).

აი ამ აზროვნების შედეგია რუსეთის ისევ დაბრუნება კავკასიაში და ოსმალეთთან დაახლოვება. ამ პოლიტიკის უდიდესი ნაყოფი შეხვდა რუსეთს, მან ამოიგო დაკარგული უმდიდრესი ქვეყნები და ის გაიხადა თავისი ძლიერების ბაზათ. ამ სუფრიდან ცოტა ნამცეცები შეხვდა ანგორასაც. ძნელი გამოსაცნობია რას უდრის ეს ნამცეცები რეალურათ, შეიძლება მართლაც მოსკოვმა იხსნა ანგორა ბერძენთა შემოსევისაგან, შეიძლება მან თვითონ იხსნა თავის თავი, ხოლო მოსკოვმა ცოტაოდენი ტყვიაწამალი მიაშველა. ყოველ შემთხვევაში ეს მცირე დახმარება თავისი წონით ბაქოს ნავთის ერთ ჭასაც ვერ შეეწონება.

ერთ და იმავე დროს ხდებოდა ორი მოპირდაპირე პროცესი საგარეო პოლიტიკაში: ბოლშევიკური მთავრობა ცდილობდა თავის ირგვლივ ყოლოდა მოსაზღვრეთ პატარა, სუსტი სახელმწიფონი და ამ საშუალებით თავი დაეფარა დიდი სახელმწიფოების მეზობლობიდან და თავსდასხმიდან. და თუ დღეს დაეკარგა მოსკოვს სულის სიმშვიდე და შიშს განიცდის—ეს იმიტომ რომ პირველათ ახლა ესაზღვრება მას დიდი ძლიერი სახელმწიფო იაპონია და მით ინგრევა მთელი მისი სამეზობლო პოლიტიკა. ოსმალეთი კი პირიქით, ცდილობდა თავისი ისტორიული მტრის დიდი სახელმწიფოს თავის მოსაზღვრეთ გახდომას და პატარა სუსტი მეზობლების თავიდან მოშორებას. მოხდა ერთმანეთში არევა წარმავალი ფაქტორის, რეჟიმის, მუდმივ ფაქტორში, ქვეყანაში. წყობილება მიდის, ქვეყანა რჩება. რანაირი რეჟიმიც არ უნდა იყოს დღეს რუსეთში, თუნდათ ის მთლათ თურქოფილური იყოს, ეს სრულიად არ ცვლის იმ გარემოებას, რომ რუსეთს თავისი ისტორიული ლტოლვილება აქვს აღმოსავლეთისაკენ და ის პირველ ხელსაყრელ გარემოებაში გამოჩნდება. ეს ქვეყნის მუდმივი ინტერესი ეხეთქება რეჟიმის წარმავალ ინტერესებს და ეს უკანასკნელი იმარჯვებს პირველზე.

წასული მომავლის თამასუქია. ოსმალეთის პრესის დღევანდელი გუნდრუკის კმევა საბჭოთა საქმიანობისათვის დასაბუთებაა აღებული პოლიტიკური ხაზის, ხაზის ანტი-კავკასიურის და რუსოფილურის. თუ ამდენხანს ეს ხაზი ტარდებოდა ადმინისტრატიული ზომებით, როგორც მაგალითად კავკასიური პრესის აკრძალვა ოსმალეთში, ეს გაუგონარი ზომა თანამედროვე სახელმწიფოში, ახლა ის საბუთდება საზოგადო აზროვნებით. რაკი ეს საკითხი გამოვიდა ხელისუფლების კაბინეტებიდან და გახდა საგნათ საზოგადო მსჯელობის, აშკარაა მოსალოდნელია საკითხის გაფართოვება და მისი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოყენება. აქ კი მთავარია გამოცალკევება რეჟიმის საკითხის ქვეყნის საკითხიდან, ცნობა იმის რომ საბჭოთა წყობილება ერთი ეპიზოდია რუსეთის გზაზე, რასაც მოყვება სხვა ეპიზოდები. თუ კი ოსმალეთისათვის საბჭოთა სახელმწიფო «კარგი მეზობელია», რანაირი მეზობელი იქნება მისი მემკვიდრე ხელისუფლება? «კარგი მეზობელის» ძებნა სანაქებოა, საჭიროა, მაგრამ მისი მიგნება ასე ადვილი არ დარჩა. თუ ყოველთვის რეჟიმის ინტერესი ქვეყნის ინტერესათ დავსახეთ, რა გარანტიაა იმის, რომ მტაცებელი მეზობელიც არ იქნას დასახული «კარგ მეზობლათ». არის ერთი უტყუარი ობიექტიური საზომი მეზობლობის და მას ვერავითარი ლამაზი სიტყვები და «ნაგლეჯი ქაღალდები» ვერ დაფარავენ.

თანამედროვე საერთაშორისო ბრძოლის და ქიშპობის ასპარეზზე, «კარგი მეზობელია» მხოლოდ ის, რომელსაც მატერიალურათ არ ძალუძს თავს დაგესხას და დაგანგრიოს. დღეს ბრმაც კი ხედავს დიდი სახელმწიფოების როლს ქვეყანაზე; მათი რიცხვი ხუთ თითზე ჩამოითვლება, მაგრამ ლამის მთელი ქვეყანა აანგრიონ.

პატარა სახელმწიფო თავისთავათ წარმოადგენს გარანტიას მშვიდობიანობის და კეთილმეზობლობის, თუ ის თავის ნებაზეა მიშვებული და მართლა დამოუკიდებელია. ვინც ნამდვილ დამოუკიდებლობას არ ეძებს, ვინც ბუნებრივათ თვლის უცხო სახელმწიფოს კარნახი თავის საშინაო პოლიტიკაშიაც მიიღოს და ფაქტიურათ ვასალური მდგომარეობა დაიმყაროს, მისთვის რასაკვირველია «კარგი მეზობლის» საკითხი ადვილათ წყდება, მისთვის ყველა კარგია ოღონდ გარეგანი თავისუფლება შეირჩინოს. პატარა სახელმწიფო რომელიც ისე მაგრათ არის დამოკიდებული დიდზე, რომ მას მოძრაობის თავისუფლება აღარ აქვს—მოკლებულია ნამდვილ სუვერენიტეტს. და თუ ასე შევხედავთ საკითხს, თუ მართლა სუვერენულ ერზე ვზრუნავთ, «კარგი მეზობლის» საკითხი ძირითადი პრობლემაა და მისი გადაჭრა უნდა მოინახოს ობიექტიურ პირობებში და არა სუბიექტიურ ურთიერთობაში.

და აი ჩვენ უსვამთ საკითხს ოსმალეთის პრესას: კავკასიაში ვინ უნდა იყოს ბოლშევიზმის მემკვიდრე, კავკასიის ერები თუ რუსეთი? ამ ორში ვინ არის უცილოთ «კარგი მეზობელი»? ამ საკითხის ბანზე აგდება არ შეიძლება კონტრ შეკითხვებით ინგლისის თუ საფრანგეთის როლზე კავკასიაში, როგორათაც ჩვეულნი არიან ბოლშევიზანები. ჩვენი ქვეყნის დაცემა მოხდა სწორეთ მაშინ როცა ევროპიული სახელმწიფოს არც ერთი ჯარისკაციც კი არ იდგა ჩვენში; ე. ი. გამოჩნდა, რომ ჩვენი სამხრეთი მეზობლისათვის სწორეთ უდაოთ სუვერენული პატარა მეზობელი სახელმწიფო აღარ იყო მისაღები. ორში ერთი: ან რუსეთი ან კავკასიის ერები, მესამე კომბინაცია არ არსებობს, ვინაიდან ყველა მესამე კომბინაცია მიდის რუსეთის სასარგებლოთ.

დღეს უდაოა, რომ საბჭოთა წყობილება მიექანება კატასტროფისაკენ, ყველა მის საბრძანებელში მყოფი ხალხები ელიან შემთხვევას ამ მაჯლაჯუნის გადასაგდებათ და თავისი ცხოვრების და ურთიერთობის შინაგანი ძალებით მოსაწყობათ.

რუსეთი მიდის რევოლიუციისაკენ. საბჭოთა მთავრობას ეჭირვება დახმარება. რას ნიშნავს უკანასკნელი ცნობა—კავკასიიდან რუსის ჯარები მიდიან შორეულ აღმოსავლეთში ოსმალეთთან შეთანხმებით? ცნობილია, რომ ეს ჯარები იდგა ჩვენში ადგილობრივი ერების მორჩილებაში ჩასაჭერათ და არა ოსმალეთის თავდასხმის მოსაგერებლათ. მოსკოვმა ძალიან კარგათ იცის, რომ პატარა ანგორა ვერ შემოესევა დიდ რუსეთს და თუ მაინც საჭიროთ თვლი და იქ ყოლოდა შვიდი დივიზია—ეს შინაგანი პოლიტიკის მოსაზრებით. ახლა როცა ეს ჯარები მიდიან, ვინ ასრულებს მათ მოვალეობას, ვის დაეკისრა ჩვენი მოწყესვა? ეს შეკითხვა შეკავშირებულია პირველ შეკითხვასან. ან რუსეთი ან კავკასიის ერები—ყველა მესამე გზა, განიდან მესამის ჩამორევა, მდგომარეობით ხელის მოთბობა, საკითხს სწყვეტს რუსეთის სასარგებლოთ, ეს ასე იყო წასულში, ასე იქნება მომავალშიაც. კავკასიის თავისუფლება არ არის თავისუფლება მარტო კავკასიის. ეს არის იმავე დროს ოსმალეთის თავისუფლებაც. შეიძლება ეს ასე ჩვენ გვეჩვენება, შეიძლება საკითხი სწორეთ უკუღმა დგას? იმედია ოსმალეთის პრესა ამას დაგვანახებს.

საქართველოდან გვწერენ:

ხელისუფლებამ უაღრესათ გააძლიერა რეპრესიები, ყველა მაზრებში ხდება მასიური დატუსაღებანი, აივსო ციხეები, ეტაპი ეტაპზე იგზავნება. ეს მასიური დაჭერა ამ ჟამათ კოლმეურნეობათა ყოფილ წევრთა შორის ხდება. უკვე გვწერდით კოლმეურნეობათა მასიურ დარღვევის შესახებ. შორეულ აღმოსავლეთის ამბებმა ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა და როდესაც მთავრობამ ვერ შესძლო ამ პროცესის არა თუ შეჩერება, შენელებაც კი, მიმართა რეპრესიებს. კოლმეურნეობაში, სადაც ამ ორი თვის წინ ას კომლამდე შედიოდა, დღეს ან სულ დაშლილია, ან 10-15 კომლი ძლივს შედის. და ეს მიუხედავათ იმისა რომ გასულებს არ ატანენ მათ საკუთარ არც კვდარს, არც ცოცხალ ინვენტარს, ხელს აღებინებენ შარშანდელ ჭირნახულზედაც. ხალხი მაინც გარბის კოლმეურნეობიდან.

გამოცოცხლება დაეტყო მუშათა კლასის ფართო მასებს. ეს იხატება ჯერ-ჯერობით წვრიმალ მოთხოვნილებათა წაყენებაში; მუშათა მასები პროფკავშირის და ადგილკომის გარეთ და მათ წინაალმდეგ ირჩევენ დელეგაციებს და თავისი მოთხოვნილებებით აგზავნიან უფროსებთან—ეს მაჩვენებელია მუშათა აქტიობის დაწყების. აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ეს დელეგაციები ხშირათ გეპეუს სარდაფებში იგზავნება, რაც ხელს არ უშლის ახალი დელეგაციების გამოწყობას. ამ ფორმის მოძრაობა ფართოვდება, კომუნისტებიც კი იღებენ მონაწილეობას ამ მოძრაობაში.

გლეხთა მოძრაობიდან 1930—1931 წლებში

(წერილი საქართველოდან)

გასული წლის გაზაფხულზე საქართველოს ზოგიერთ მხარეებში დაიწყო ერთგვარი პარტიზანული მოძრაობა, რომელსაც სწრაფად გამოეხმაურა გაძარცული და სასოწარკვეთილი გლეხობა და რომლითაც მალე ისარგებლა გეპეუმ თავისი პროვაკაციის ქსელის გასაბმელათ და გლეხობის ერთხელ კიდევ დასარბევათ. ეს მოძრაობა და მასთან დაკავშირებული პროვაკაცია წლის ბოლომდე გაგრძელდა...

1931 წ. მარტში ჭიათურა-შორაპან-ზესტაფონის რაიონში, მომეტებულათ გლეხობაში და მუშებში, გავრცელებულ იქნა დაბეჭდილი «მოწმობა-მანდატი» შემდეგის წარწერით—ქართულად: «ს. ს. ს. არალეგალური მუშათა კომიტეტი» და რუსულად: «ვესკავკზსკი რაბოჩი ტაინი კომიტეტ».

ასეთი მანდატები აღნიშნულ რაიონის ყველა სოფლებში იქნა გავრცელებული და გლეხები სჩანს მას ხალისით იღებდენ, რადგან გაევრცელებიათ არა ნაკლებ სამი ათასისა. თითო მანდატში მიმღები იხდიდა შეძლებისდაგვარად, ჩვეულებრივათ 7—20 მანეთამდე. იყო შემთხვევები მათი თფილისში გავრცელებისაც,

ასეთივე «მანდატები» გავრცელებულ იქნა სამეგრელოშიაც, თუმცა გაცილებით ნაკლები რაოდენობით. ამ ამბებმა ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ხელისუფლებამ დაიწყო საგანგებო რეპრესიები და დევნა. გეპეუმ გამოიყენა ხალხის სულისკვეთება და თავისი აგენტები შეგზავნა გლეხობაში, რომლებიც ვითომ მთავრობის საწინაალმდეგო პროპაგანდას და საქმიანობას ეწეოდენ. ასე მაგ., სოფ. სვირში პროვაკაციის მიზნით გაიჭრა ტყეში ჩეკისტი რობაქიძე, რომელსაც საუბედუროთ თან გაყვენ 30 მშრომელი გლეხი; ეს პროვოკატორი დადიოდა გლეხობაში და მოუწოდებდა მას აჯანყებისაკენ. ამავე დროს სწარმოებდა პარტიზანთა «მანდატების» გავრცელება; ხელისუფლების მოძულე და უკმაყოფილო, მის მიერ ჩაგრული და ფეხქვეშ გათელილი გლეხობა აჰყვა ამ პროვაკაციას; მან დაიჯერა, რომ საქართველოში იწყებოდა შეიარაღებული ბრძოლა ხელისუფლების წინაალმდეგ და ამოძრავდა. დაიწყო კომუნისტებზე თავდასხმა და გულწრფელი მზადება აჯანყებისათვის. აი აქ ამუშავდენ ხალხში წინასწარ მოგზავნილი პროვაკატორები და გეპეუმ დაიწყო გლეხების «კრეფა». მრავალი გლეხი არ დანებდა, ხელში იარაღი აიღო, ტყეთ გავარდა და იქიდან მთავრობას შეუტია. გაჩაღდა პარტიზანობა.

ბრძოლამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მოძრაობის სალიკვიდაციოთ გეპეუმ დანიშნა ამ რაიონისათვის საგანგებო სამეული ცნობილ დავით ბაგრატიონის, გენო ნემსიწვერიძის და ბარბაქაძისაგან.

ამავე დროს ერთმა შემთხვევამ ნიღაბი ახადა თვალთმაქცურათ ტყეთ გაჭრილ ჩეკის აგენტ რობაქიძეს. მან მოინდომა, ჩეკას დავალებით, მიეტყუებინა მალული ვინმე გაჩეჩილაძე და შეუთვალა მას—შემოგიერთდებიო. მაგრამ გაჩეჩილაძემ წინდახედულება გამოიჩინა და უპასუხა—ჯერ მოჰკალი ხელისუფლების ხუთი წარმომადგენელი, რაიცა გაჰფანტავს ყოველივე იჭვს შენი გულწრფელობის შესახებ და შემდეგ მიგიღებო. ასეთ პირობებში რობაქიძემ არჩია მის მიერ ტყეში გატყუებული 30 გლეხი ჩეკასათვის ჩაებარებია. ყველანი დააპატიმრეს, მაგრამ პროვაკატორსაც არ დასდგომია კარგი დღე: ის მოჰკლა ჩეკამ, ალბათ აღარ საჭიროებდენ ნიღაბ ახდილ პროვაკატორის სამსახურს.

ასეთივე ამბავი დატრიალდა სამეგრელოში. აბაშაში თვალთმაქცურათ ტყეთ გაიჭრა ჩეკისტი ჩხეიძე, რომელსაც ვითომ სდევნიდა ჩეკა. იმანაც აიყოლა რამდენიმე გულუბრყვილო გლეხი და დაასრულა იმით, რომ ყველანი ჩეკას მიჰგვარა და თვითონაც არხეინად დაუბრუნდა თავის ოფიციალურ პოსტს.

ამ პროვოკაციებმა და ბაგრატიონის სამეულის თარეშმა კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა: ტყეთ გაჭრილთა რიცხვი თანდათან მატულობდა, სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე დაპატიმრებულთა რიცხვი. მტყუანს და მართალს აღარ არჩევდენ. ხალხი ისე გაბრაზდა და გამწარდა, რომ ცელისა და ნაჯახის ამარა გადიოდენ ტყეთ. გაჭრილთ დევნა აღარ იკმარეს ჩეკისტებმა და იწყეს მათი ოჯახის წევრების დაპატიმრება... ხალხი რეპრესიებს აღარ ერიდებოდა. ტყვეთ ჩავარდნილები ამაყათ უცხადებდენ მტარვალებს: «მე ესა და ეს ვარ; წამართვით ცხენი, ძროხა, ვენახი, საყანე, გვამუშავებთ მთელ დღეს მშიერს და ტიტველს; დაგვიბრუნეთ რაც წაგვართვით, წინაალმდეგ შემთხვევაშა ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი გვირჩევნია; რაც გინდათ ის გვიყავითო»!

აჯანყების წინაალმდეგ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა ჩეკისტი დავით ბაგრატიონი. ის და მისი დამქაშები ხომ ძველი რეჟიმიდან დახელოვნებული იყვნენ გლეხების დევნაში. ამ გარყვნილებს და ლოთებს იდეის არაფერი სცხიათ, მათ აერთებს კომუნისტებთან ხალხის მტრობა, დემოკრატიის სიძულვილი და კომუნისტებიც სიამოვნებით იღებენ მათ

ეროვნული

სამსახურს. ერთი სიტყვით მათრახი დღესაც იმას უჭირავს ხელში, ვისაც ნიკოლოზის დროს ეჭირა, და სცემენ იმასვე, ვისაც მაშინ სცემდენ...

ამათი მეთაურობით, იმერეთის აღნიშნულ რაიონებში დატუსაღებული იყო: სვირში—150 (კაცი და ქილი), ჩხარში—300, ზესტაფონში—200, ჭიათურაში—300, ხოავოულში—150, დარჩენ სხვადასხვა სოფლებში კიდევ 500 მდე, სულ ერთიანად გლეხები. ამათ შორის მრავალნი გადასახლებულ იქნენ; შეტაკებების დროს მოკლულ იქნა გლეხებიდან 30 კაცამდე, მათ შორის ვინმე ფხალაძე, რომელიც ზემო აღნიშნულ «მანდატების» დაბეჭდვას და გავრცელებას ხელმძღვანელობდა ჭიათურაში. მსხვერპლის რიცხვი გეპეუს მხრით არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ ზესტაფონის რაიონში დაიღუპა აღმასტკომის თავმჯდომარე და დაჭრილ იქნა ჩეკისტი ხითაროვი. მოძრაობის მეთაურთა ქონებას კონფისკაცია უყვეს, მათი ოჯახები სავსებით განადგურებულია.

* * *

გურიაშიც იყო ცდა ხალხის ჩარევისა ამ მოძრაობაში, მაგრამ აქ საქმეს ისეთი აშკარა პროვაკაციის სახე მიეცა, რომ ანკესზე ვერავინ აიყოლიეს. ჩეკა გზავნიდა სოფლებში ევროპიულად გამოწყობილ ორ კაცს, რომლებიც თავს ასაღებდენ ევროპიდან გამოგზავნილ პოლიტიკურ მუშაკებათ. მაგრამ ისინი არავინ გაიკარია და «ევროპიელებიც» გაქრენ; გურია მოძრაობის გარეშე დარჩა, ისე როგორც სამეგრელოს დიდი ნაწილი, აჭარისტანი და აღმოსავლეთი საქართველო.

* * *

ზაქათალის და კახეთის რაიონებში 1931 წ. მარტის და აპრილის თვეებში ადგილი ჰქონდა საერთო გამოსვლებს და გლეხთა მღელვარებას, გამოწვეულს კოლექტივიზაციით და სხვა ათასგვარი შევიწროებით. ბოლშევიკებმა სცადეს ჯერ «დაჯერების» მეთოდი; ამ რაიონებში წავიდნენ ფ. მახარაძე და სხვა მისი მთავრობის წევრები ხალხის დასამშვიდებლათ, მაგრამ ამათ დაპირებებმა ხალხი ვერ დააკმაყოფილა, მღელვარება არ დაცხრა და თფილისიდან გაიგზანა წითელი ჯარების და ჩეკის ნაწილები, გაიმართა ნამდვილი ბრძოლები, რომელშიაც მრავალი კაცი და ქალი დაიღუპა—ქართველი და ლეკი.

ასეთივე დღე დაადგა ვაზიანის რაიონის გლეხობას. კახელები ამბობენ:—გვახსოვს ძველად ყაჩაღების ფარულად თავდასხმა ან ღამით ქურდობა, დღეს კი აშკარა დღის სინათლეზე ბუკითა და ნაღარით, გიტარითა და დაირით სულიან ხორციანათ ყველაფერს გვართმევენო».

სამეგრელოში გამოსვლები იყო კოკი, ანაკლია, ერგეთი და ხეთის რაიონში და სხვ. ზუგდიდიდან ტყით გავარდა ყარამან—ია (გვარი ვერ გავარჩიეთ. რედაქცია.), ერთ დროს მთავრობის მამასახლისი, უკანასკნელათ კი ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამგე, ამანაც გაიყოლა თან რამდენიმე კაცი, რომელნიც დაბოლოს ჩეკას მიჰგვარა. აქაც აუარება ხალხი დაატუსაღეს. მარტო ხეთის რაიონში—300 კაცამდე.

* * *

1930 წ. აპრილის თვეში სოფელ ნუკრიანის და კარდანახის რაიონიდან მთავრობამ აირჩია 600 მოსახლე, ვითომ კულაკები, ნამდვილათ კი მშრომელი ღარიბი გლეხები და დაადგინა მათი ერთიანად გადასახლება შორეულ ქვეყანაში, რაიცა, რა თქმა უნდა, ჩეკას უნდა შეესრულებინა. გლეხები გამორეკეს თავიანთი ბინებიდან და მოდენეს სადგურზე მატარებელთან. აქ გადასახლებულებმა ვაგონებში შესვლაზე უარი განაცხადეს. — არსად არ წავალთ. აქ დავიბადეთ და აქვე დავიხოცებითო! გაიძახოდენ ისინი. ჩეკამ ჩვეულებრივ ხერხს მიმართა: შეგზავნა ხალხში თავისი აგენტები წინააღმდეგობის მეთაურთა ვინაობის გამოსარკვევათ. ასეთი დაზვერვის შემდეგ ადგილობრივ ჩეკის აგენტმა, გიგა გოგონაშვილმა მოუწოდა გლეხებს დამორჩილებოდენ მთავრობის ბრძანებას. მაგრამ ხალხი მაინც უარზე ადგა. მაშინ გოგონაშვილმა გამოიწვია გლეხობიდან ორი კაცი, ვითომ მათი წარმომადგენლები მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ, წაიყვანა თან, და, როცა საკმაოთ დააშორა აღელვებულ გლეხებს, იძრო რევოლვერი, დაახალა მათ და ორივე იქვე უსულოთ გააგდო. ეს მოხდა დანარჩენ გლეხების თვალწინ; ამ «დამამშვიდებელმა» ზომამ გასჭრა, ტუსაღები შევიდენ ვაგონებში, ჩეკისტების თანხლებით აიყვანეს ისინი თბილისში, იქიდან კი ვინ უწყის სად გადაკარგეს!

ხოლო გოგინაშვილის «საქმენი საგმირონი» ამით არ დასრულებულა. ის დანიშნულ იქნა რაიონის მილიციის უფროსად. ბუნებრივია, რომ დარჩენილი მოსახლეობა მას კარგათ არ იხსენიებდა, გან საკუთრებით დახოცილთა ნათესავები, ვანუა და გოგია. ეს გოგონაშვილის ყურამდე მივიდა. და ერთ დღეს, როცა ეს ორი ახალგაზდა ქორწილში იყვნენ, იქ მივიდა მილიციის უფროსიც სამი შეიარაღებული მხლებელით, «დააპატიმრა» ის ორი ახალგაზდა, წაიყვანა ქორწილიდან და გზაში ორთავე მოჰკლა, მერე ქორწილში მობრუნდა საქეიფოთ. მექორწილეებმა გაიგეს მკვლელობის ამბავი და დღესასწაული ტირილათ გადაიქცა. ამითაც არ დასრულდა გიგოს მკლავაძეობა ამ დღეს. ერთ მექორწილე ახალგაზდას ეთქვა გვერდში მჯდომისათვის—გოგინაშვილი სიკვდილის ღირსიაო, რაიცა გაეგონა ამ უკანასკნელის საყვარელს და გადაეცა მისთვის. ეს ახალგაზდაც დააპატიმრა მილიციის უფროსმა და გადაგზავნა სამილიციო უბანში. შემდეგ თვით მივიდა უბანში, ვითომ გამოაშვებია ტუსაღი, მაგრამ დაეწია სახლში მიმავალს და სამი ტყვია დაახალა. ასე, ჩეკის ამ ტიპიურმა გმირმა ერთ დღე და ღამეში სამი უდანაშაულო კაცი გამოასალმა წუთი სოფელს. გოგინაშვილი გამონაკლს არ შეადგენს, ჩეკას ყველა კუთხეში ჰყავს ამგვარი მხეცი, რომელიც ხალხს ტერორის ქვეშ აყენებს და მის წინააღმდეგობის ძალას ასუსტებს...

у.

ინტერნაციონალის ექზეკუტივის სხდომის გამო

გასულ მაისის ინტერნაციონალის ექზეკუტივის სხდომის დღის წესრიგში ბევრ სხვა საკითხთა შორის იყო ერთი მეტათ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთის დღევანდელ მდგომარეობას ეხებოდა. კრების მიერ შესაფერი რეზოლიუციაც იქნა მიღებული იაპონიის იმპერიალიზმის შესახებ.

ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზის გამო, სამწუხაროთ, შეუძლებელი გახდა ამ სხდომას დავსწრებოდი და იქ კამათში მონაწილეობა მიმეღო. ყოველ შემთხვევაში მინდა ეხლა ამ რეზოლიუციის შესახებ ზოგი ჩემი მოსაზრებანი გამოვსთქვა.

რეზოლიუცია აღნიშნავს იაპონიის აგრესიულ საომარ მოქმედებას ჩინეთის წინააღმდეგ და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ნება მისცეს იაპონიას თავი გაენთავისუფლებია იმ ვალდებულებისაგან, რომელთაც მან ხელი მოაწერა, როცა ის ერთა ლიგის პაქტს შეუერთდა. და რამდენადაც ეს დიდი სახელმწიფოები პაქტის ძალით არ მიმართავდენ შესაფერ სანქციებს იაპონიის წინააღმდეგ, რომელიც ჩინეთს არბიტრაჟზე უარს ეუბნებოდა და მანჯურიაში და შანჰაიში ჯარებს აგროვებდა, იმდენათ ერთა ლიგის ავტორიტეტი საგრძნობლათ დაეცა.

ეხლა ინტერნაციონალის ექზეკუტივი მიმართავს მასში შემავალ სოციალისტურ სექციებს გავლენა მოახდინონ თავიანთ მთავრობებზე, რათა ამ უკანასკნელებმა შეასრულონ ის ვალდებულებანი, რომელიც მათ თავიანთ თავზე აქვთ აღებული და დაიცვან ზავი და მშვიდობიანობა აგრესიულ სახელმწიფოსაგან.

ექზეკუტივი მოითხოვს შანჰაიდან და მანჯურიიდან იაპონიის ჯარების დაუყონებლივ გაყვანას. მაგრამ ამ სრულიათ სამართლიან მოთხოვნილებასთან ერთათ რეზოლიუციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ მანჯურიიდან რუსებიც უნდა გავიდენ.

ჩვენ ვიცით, რომ ჩინეთს და რუსეთს შორის დიდი ხანია კონფლიქტი არსებობს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ. მართალია, ეს რკინის გზა რუსების ფულით არის აშენებული, მაგრამ ის მანჯურიის, ესე იგი, ჩინეთის ტერიტორიაზე იმყოფება და სუვერენული უფლებებიც მასზე ჩინეთს ეკუთვნის. ჩინეთი ვერ ითმენდა იმას, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა რუსებს ქონდათ ჩაგდებული ხელში და მის ტერიტორიაზე ისინი ათასნაირ უკანონობას ჩადიოდენ და თავისუფლათ თარეშობდენ.

1929 წელს ჩინელებმა გამოყარეს ყველა რუსი მოსამსახურენი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობიდან და სამსახურიდან.

მოსკოვი ჩინელების ასეთი მოქმედებით უკმაყოფილო დარჩა და მან რკინის გზის მოსამსახურეების უკან დაბრუნება და «სტატუ ქვო»-ს აღდგენა მოითხოვა. ამის სისრულეში მოსაყვანათ კი გენერალ ბლიუხერის თაოსნობით მანჯურიაში საბჭოთა ჯარები გაგზავნა. რუსეთ-ჩინეთის შორის ამ კონფლიქტის მოსაგვარებლათ ერთა ლიგის ჩარევაზე ლიტვინოვმა უარი განაცხადა, ჩვენი ნაციონალური ინტერესების დაცვა ჩინეთთან ჩვენი პირდაპირი მოლაპარაკებით უნდა მოხდესო. შემდეგ საბჭოთა ჰაეროპლანებიდან ჩინელ სოფლებს ყუმბარები დაუშინეს და ამ რიგათ ჩინეთიც იძულებული შეიქნა მოსკოვის პირობები მიეღო.

საბჭოთა რუსეთის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ ინტერნაციონალის ექზეკუტივმა 1929 წელს სასტიკი პროტესტი განაცხადა. მან მოითხოვა, რომ რუსეთს ჩინეთში მის იმპერიალიზმზე ხელი აეღო, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა ჩინეთისათვის გადაეცა და ის იქიდან გასულიყო.

მაგრამ რუსებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე დღემდე შერჩათ ძველი მდგომარეობა და ისინი მანჯურიიდან არ გასულან.

ამ მხრივ გასულ მაისში ექზეკუტივის მიერ მიღებულ რეზოლიუციის დიდი ნაკლია, რომ ის ერთ და იმავე დროს არ მოითხოვს მანჯურიიდან რუსების, ისე როგორც იაპონელების, გასვლას.

ექზეკუტივის რეზოლიუციის მეორე მთავარი დებულებაა, რომ იაპონიის ჯარები მანჯურიის გზით უკვე მიუახლოვდენ საბჭოთა რუსეთის საზღვრებს, რაც მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს. თუ იაპონია თავს დაესხმება საბჭოთა რუსეთს, ყველა ქვეყნის მუშებმა ხმა უნდა აღიმაღლონ ამის წინააღმდეგ და მედგრათ დაიცვან ზავი და მშვიდობიანობაო. საამისოთ ზოგი კონკრეტიული ზომებიც არის ნაჩვენები.

ცხადი და სრულიათ უდავო დებულებაა, რომ მუშათა ინტერნაციონალმა უნდა გაითვალისწინოს ომის მოსალოდნელობა, მისი უდიდესი საშიშროება და შეეცადოს აქედანვე მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები და საშუალებები, რომ კაცობრიობას კიდევ ერთხელ თავს არ დაატყდეს ომის საშინელებანი.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ომის მოსალოდნელობა და საშიშროება გათვალისწინებული უნდა იქნას არა მხოლოთ ერთი მხრივ, არამედ ყოველივე მხრივ. მხოლოთ ამ პირობებში შეგვეძლება ომის საშიშროებას უფრო მზათ დავხვდეთ, ნაკლები ილიუზიებით ვიყოთ შეპყრობილი და მით ეგებ ომის კატასტროფები თავიდან ავიცილოთ.

დღეს ყველა ხედავს, რომ იაპონია, რომელიც დიდი და ფართე იმპერიალისტური ზრახვებით არის შეპყრობილი, სხვის ტერიტორიაზეა შეჭრილი და იქ საომარ მოქმედებას აწარმოებს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ იაპონიას საგრძნობლათ გაურთულდა მდგომარეობა მანჯურიაში და ის ისე სწრაფათ ველარ აღწევს მის მიზნებს, როგორც მას ეს ეგონა. თან თვით იაპონიის შინაური ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა დიდ კრიზის განიცდის და ყველაფერი ეს კი ნაკლებათ უწყობს ხელს იმას, რომ ეხლა იაპონიამ მის ახალ აგრესიულ გეგმების განხორციელებას შეუდგეს.

მეორე მხრივ ფაქტია ის, რომ საბჭოთა რუსეთმა საზღვრებზე მეტათ კარგათ შეიარაღებული დიდძალი ჯარები მიიყვანა. უთუოთ უნდა აღინიშნოს ისიც, თუ როგორ ღრმათ არის შეპყრობილი არა მხოლოთ საბჭოთა ჯარები, არამედ მთელი რუსეთის მოსახლეობა ომის აუცილებლობის ფსიხოზით. ომის აუცილებლობაზე ბოლშევიკები ხომ მუდმივათ უჩიჩინებდენ რუსეთის ხალხს ამ 14 წლის განმავლობაში.

თუ იაპონიას დღეს სადმე კი გაურთულდა მდგომარეობა, სულ ადვილი შესაძლებელია რუსეთმა ამით ისარგებლოს, გაიმეოროს 1929 წლის მისი ავანტიურა მანჯურიაში, იქ თავისი ჯარები შეიყვანოს და საკმაოთ დაცემულ მისი პრესტიჟის და მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადოს. ამ შემთხვევაში აგრესივობის მწარმოებელი რუსეთი იქნებოდა; ეს კი უნდა გაეთვალისწინებია და ამის საწინააღმდეგოდაც უნდა ეთქვა თავისი აზრი ინტერნაციონალის ექზეკუტივს.

გარდა ამისა, ომის საშიშროება არსებობს არა მხოლოთ შორეულ აღმოსავლეთით.

მთელი ევროპის პრესა, სოციალისტური, თუ არა სოციალისტური, ყველა რუსი ამხანაგები იმას ამტკიცებენ, რომ საბჭოების ხუთწლიანი გეგმის მიზანი მომავალი ომებისათვის გაფაციცებით მზადებაა. თვით ბოლშევიკები არ მალავენ და აშკარათ ამბობენ, რომ კომუნიზმის საბოლაო გამარჯვება საერთაშორისო ომის შედეგი იქნებაო. ომი მაშ ბოლშევიკების მხრივადაც მოსალოდნელია როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით. ინტერნაციონალის მოვალეობაა ომის ეს საშიშროება ამცნოს მსოფლიო პროლეტარიატს და საამისოთ შესაფერი თადარიგი დაიჭიროს. ასეთი რამის გვერდის ახვევა და მისი უყურადღებოთ დატოვება არის როგორც ექზეკუტივის ეხლანდელი, ისე ყველა მისი წინანდელი რეზოლიუციების დიდი ნაკლი.

რეზოლიუციის მესამე მთავარი დებულებაა: თუ საბჭოთა რუსეთს მოუხდება თავდაცვა აგრესიულ სახელმწიფოსაგან, ინტერნაციონალი იმედს გამოსთქვამს, რომ მისი ყველა სექციები, რომელნიც მუშაობენ საბჭოთა კავშირის საზღვრებში, წინააღმდეგნი იქნებიან ყოველივე იმის (სეპარატიზმი, აჯანყება), რაც დიდათ შეუშლიდა ხელს საბჭოთა რუსეთის თავდაცვის საქმესო.

მართალია, მოსკოვის მთავრობის მდგომარეობა დღეს მეტათ რთულია. მან 14 წლის განმავლობაში აწარმოვა მთელ რუსეთში საშინელი ტერორისტული პოლიტიკა. არია ყველაფერი სოფლის და ქალაქის წარმოებაში.

მილიონობით გაანადგურა გლეხობა. გამოუვალ და აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობა. დაავლახა და დააჩანაკა მთელი ინტელიგენცია. გარყვნილება და დეზორგანიზაცია შეიტანა მაღალ, საშუალო, თუ დაბალ სასწავლებლებში. ყოველგან სიძულვილი და წყევლა-კრულვა დაიმსახურა.—ასეთივე მდგომარეობა შექმნა საბჭოთა ხელისუფლებამ დაპყრობილ, დამონავებულ და საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ერებშიდაც. ამ ერების მდგომარეობა თვით რუსი მოსახლეობის მდგომარეობასთან შედარებით კიდევ მით არის გაუარესებული, რომ მათ სხვა ყოველნაირ თავისუფლებასთან ერთათ დაკარგული აქვთ მათი ეროვნული მეობა და თავისუფლება.

აი რა მდგომარეობა შექნეს ბოლშევიკებმა რუსეთში და რა პირობებში უხდება საბჭოთა ხელისუფლებას თავდაცვაზე და თავის გადარჩენაზე ფიქრი და ზრუნვა. ეს კი არ არის ადვილი საქმე.

რუსეთიდან ევროპის პრესას აუარებელი კორესპონდენციები მოსდის იქაურ სულიერ განწყობილების და ომთან დამოკიდებულების შესახებ.

მოსკოვიდან იწერებიან: «ქალაქის და სოფლის დაბალ ფენებში იზრდება ოპტიმიზმი. ეს ოპტიმიზმი დამყარებულია იმ რწმენაზე, რომ მალე ომი დაიწყება და მით ბოლშევიკებს ბოლო მოეღება. მოსკოვის ყავახანებში აშკარათ ლაპარაკობენ: იაპონელებით დაიწყო და იაპონელებით გათავდებაო». იწერებიან აგრეთვე, რომ: ჩეკას აუარებელი ცნობები აქვს იმის შესახებ, რომ რუსეთის მცხოვრებთა მეტათ ფართე ნაწილი მოუთმენლათ მოელის საგარეო გართულებას, რომელსაც შინაური განთავისუფლება უნდა მოყვესო.

თუ შიდა რუსეთში ასეთ რამეებს აქვს ადგილი, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობა და როგორი სულისკვეთება იქნება დაპყრობილ ქვეყნების მცხოვრებთა შორის.

საზღვარგარეთ მყოფთათვის მეტათ ძნელი და რთული საქმეა აქედან ნათლათ შეაფასოს საბჭოთა კავშირის მდგომარეობა და სავსებით გაერკვიოს იქაურ სულისკვეთებაში. კიდევ უფრო ძნელი საქმეა აქედან იქ მომქმედ პარტიებს ტაქტიკური დირექტივები ვაძლიოთ და მათ არ მივცეთ საშუალება დროს და გარემოების მიხედვით თვით აირჩიონ იქ სამოქმედო გზები.

ის სოციალისტური პარტია, რომელიც თავის წევრების სულისკვეთებას და საერთო მდგომარეობას სათანადოთ ვერ შეაფასებს და მას ანგარიშს არ გაუწევს, არა მხოლოთ არ იქნება მუშათა კლასის ნამდვილი ხელმძღვანელი და რაიმე სერიოზული საქმის გამკეთებელი, არამედ ის სულ ადვილათ და მოკლე ხანში დაჰკარგავს ყოველივე გავლენას ფართე მასებში.

ექზეკუტივის რეზოლიუცია ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა კავშირის თავდაცვა მით უფრო იქნება უზრუნველყოფილი, რამდენადაც თვით საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა შესაძლებლათ გახდის ყველა სოციალისტურ ძალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ რუსეთის რევოლიუციის დასაცავათო. ესე იგი, ექზეკუტივი ფიქრობს, რომ მოსკოვის მთავრობა პოლიტიკურ რეფორმების გზას დაადგება და საბჭოთა კავშირში მომქმედ სოციალისტურ პარტიებს მიეცემა ლეგალური მუშაობის საშუალება. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, დიქტატორები თვითონ იტყვიან უარს თავიანთ დიქტატურაზე. მაგრამ ასეთი მაგალითი ჯერ ხომ ისტორიამ არ იცის!

გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა და ინტერნაციონალის ექზეკუტივი უდიდეს მორალურ დახმარებას გაუწევდა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს და დემოკრატიას, რომ მას მთელი ევროპის მუშათა კლასის და დემოკრატიის წინაშე ემხილა საბჭოთა წყობილების უ[illegible] მოთხოვა რუსეთში დემოკრატიული რეჟიმის შემოღება და იქ მომწყვდეულ ჩაგრულ ერთა სრული განთავისუფლება.

დემოკრატიულ რუსეთს და დემოკრატიულათვე მოწყობილ თავისუფალ არა რუს ერებთა შორის კეთილ მეზობლური განწყობილება და დამოკიდებულება იქნებოდა ისეთი დიდი ფაქტორი, რომელსაც მტერიც და მოყვარეც ანგარიშს გაუწევდა. დემოკრატიულათ მოწყობილ ყველა ამ ერების თავდაცვის და ერთი მეორესადმი მხარის დაჭერის სურვილიც დიდი და უფრო ბუნებრივიც იქნებოდა. მაშინ მათთვის რომელიმე სახელიწიფოს აგრესივობა ასე საშიში აღარ იქნებოდა. ვერც ვინმე აგრესიულ მოქმედებას მათ წინააღმდეგ ადვილათ გაბედავდა.

ამნაირათ, რუსი და არა რუს ერების ბოლშევიკების ტირანიისაგან განთავისუფლება საერთაშორისო ზავის და მშვიდობიანობის უდიდეს გარანტიათ გახდებოდა.

ჰ. ცვარჯალაძე.

ძველი ამბავი

სტალინ-ჯუღაშვილს აღარ ეყო ახალი ამბავი, მისი დიქტატურა რუსეთზე და ამ ასე დაბრიყვებულ ქვეყანაზე მისი განუკითხავი ბატონობა. მას დასჭირებია ერთი ძველი ამბავის გახსენება და თავისი პოლიციური ძლიერებისათვის თავისი ლიტერატურული ძლიერების მიმატება. ამ მიზნით მის დამქაშებს გადაუქექიათ ძველი დავთრები და როგორც იყო მიუგნიათ სტალინის ერთი წერილისათვის, დაბეჭდილი 1910 წ. რუსულ სოც. დემოკ. სადისკუსიო ფურცელში 24 ივნისის თარიღით. დიდის ზეიმით გამოცხადდა ბოლშევიკურ პრესაში ეს დიდებული აღმოჩენა, გადაბეჭდეს «წერილი კავკასიიდან» და დასვეს ის პარტიის დღის წესრიგში შესასწავლათ და სახელმძღვანელოთ. და რადგანაც ამ წერილს თვითეული ბოლშევიკი რაგინდ დიდი ხარისხის იყოს თავისი ჭკუით ველარ მოერევა, მის სიბრძნეს ვერ ამოსწურავს, შეიკრიბა კავკასიის პარტიული კონფერენცია და დურბინდებით შეუდგენ მასში დათესილი აზრების ამოკითხვას და რა ვნახეს ძახილით ავტორის წინ დაჩოქებას. შეინძრა პარტია, შექანდა ჩეკისტების თავები, ამეტყველდა კომუნისტური ბრბო და ერთხმათ დაადგინეს—სტალინის ეს გენიოსური ნაწარმოები გამოცხადდეს პარტიის სახარებათო.

ამ საერთო ორონტრიალში ერთი მარცხი მოხდა. ამ აღმოჩენილ სახარებას წინ წაუმძღვარეს წინასიტყვაობა, საიდანაც ვტყობილობთ რომ სტალინის წერილი ყოფილა «კავკასიის მენშევიკების ლიდერის—ანის—ნ. ჟორდანიას» წინააღმდეგ მიმართული და შეიცავდა გარჩევას მისი ქართული წერილებისას სახელწოდებით «საჭირ-ბოროტო კითხვები»; ეს კიდევ ცოტაა, იმავე «სადისკუსიო ფურცელში» და იმავე ნომერში სტალინის წერილის გვერდით ყოფილა დაბეჭდილი ანის პასუხი (ზ. ვ. № 86). მოვნახეთ ეს ფურცელიც, გადავიკითხეთ ანის პასუხიც, რასაც, რასაკვირველია, ბოლშევიკები თავის მკითხველთ სასტიკათ უმალავენ და სტალინის დიდებული წასული ნათლათ გამოჩნდა. გამოჩნდა მისი ცნობილი ზნე-ჩვეულებანი: გადამახინჯება, მოტყუება, ცრუობის ცრუობაზე მოგონება—ერთი სიტყვით ლიტერატურული ცუღლუტობა. აი ანის წერილის ზოგი ადგილები:

«სადისკუსიო ფურცლის» ამავე ნომერში იბეჭდება «წერილი კავკასიიდან», მიმართული კავკასიის მენშევიკების წინააღმდეგ და რომელშიაც უკანასკნელთა ლიკვიდატორობა საბუთდება ერთი ამხანაგის წერილებით, დაბეჭდილის ამ ორი წლის წინეთ ქართულ გაზეთებში. ამასთანავე ავტორი სრულიად არ ცდილობს დაარღვიოს ამ წერილების დებულებანი. ის კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ, როგორც თვითონ სწერს, «არქმევს საგანთ თავის სახელს» და ამ საბუთით უყენებს მენშევიკებს ბრალდებას ბრალდებაზე. ამ ნაირათ, მთელი მისი ამხედრება კავკასიის მენშევიკების წინააღმდეგ დაფუძნებულია ამ წერილების შინაარსის თავის სიტყვებით გადმოცემაზე და მაშასადამე თუ ეს გადმოცემა არ შეესაბამება სიმართლეს, ყველა მისი ბრალდებანი თავისთავათ ირღვევა. და მართლაც, თუ შევადარებთ ავტორის «თავის სახელებს» განხილული სტატიების ნამდვილ «თავის სახელებს» მოიგონებთ იმ ჭკვიან კაცს, რომელმაც თქვა: მომეცით «მამაო ჩვენო» და მის შინაარს ისე გადმოგცემთ რომ ავტორი ღირსათ გახადოთ ჩამოხრჩობისო. და რომ თვალსაჩინოთ გავხადოთ ეს სანაქებო ხელოვნება ჩვენი კრიტიკოსის, მე ნებას მივცემ თავისთავს მის თვითეულ აბზაცს ხელოვნურათ შეკოწიწებულ სხვის სიტყვების დაუპირდაპირო ნამდვილი სიტყვები. ვსთხოვ მკითხველს ჩვენი კრიტიკოსის თვითეულ დებულების შემდეგ წაიკითხოს ჩემი დაპირდაპირებული დებულებანი».

ამის შემდეგ ანს მოყავს სტალინის 12 დებულება და ფაქტებით ამტკიცებს ყველა ამ თორმეტივე დებულების ყალბათ გადმოცემას. უადგილობის გამო მოვიყვანთ ამ გასაშტერებელი დოკუმენტის ზოგ ადგილებს:

«რომ ბოლშევიკები პოულობენ ნიადაგს ბაქოში—ეს სადაო არ არის. მაგრამ ისინი რომ იქ მეტ ნიადაგს პოულობდენ ვინემ მენშევიკები—ეს არ არის მართალი. საკმარისია მოიგონოთ ბაქოს პარტიული დელეგაცია ლონდონის უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე (2 მენშ. 1 ბოლშევ.), რომ თქვათ «მკაცრი კლასიური პოზიცია» სწორეთ მენშევიკების «პოულობს ცოცხალ გამოხმაურებას» ბაქოს შეგნებულ პროლეტარიატში. რაც შეეხება იქ ახლანდელ მდგომარეობას, როცა ბოლშევიკების წყალობით (ეს ცეკას დასკვნაა) ორი ფრაქციული ორგანიზაცია შედგა და მაშასადამე ორივე დაინტერესებულ მხარის ჩვენება აღარ არის სარწმუნო წყარო, მოვიყვან არაფრაქციულ ორგანოს—«პრავდას» (№ 10) ცნობებს, სადაც ნათქვამია, რომ ბაქოში ყველა მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციები მენშევიკების ხელშია, კავშირების ცენტრალურ ბიუროში ბოლშევიკები არც კი არიან წარმოდგენილნი და სხ.»

«როგორც ხედავთ ამ გრძელ აბზაცში ქართული წერილების ავტორს ბრალს სდებენ მძიმე დანაშაუ-

ლობას—პროგრამის სოციალური ნაწილის უარისყოფას. მართალია ეს? ყური დაუგდეთ ბრალდებულს: «არც ერთ კლას არ ძალუძს გადაუხვიოს თავის ისტორიულ გზას. ვერ შედგება სხვის გზაზე. რამდენიც არ უნდა აჯეროთ ის ამაში. ამიტომ ბურჟუაზიული რევოლიუციის ხელმძღვანელობა პროლეტარიატის მიერ ნიშნავს მის ხელში გადასვლას სახელმწიფო ძალა უფლების. ამ ძალას ის გამოიყენებს რასაკვირველია თავის და არა თავის მტრების ინტერესებისათვის. ის შედგება სოციალური რევოლიუციის გზაზე, ე. ი. იქნება ხელმძღვანელი არა ბურჟუაზიული არამედ პროლეტარული რევოლიუციის .. ბოლშევიკები მუდამ უარსყოფენ ამ ლოღიკას და გაიძახიან: პროლეტარიატმა უნდა დაამყაროს ბურჟუაზიული წყობილებაო... ნამდვილათ კი, პროლეტარიატს არ შეუძლია იყოს წინამძღვარი ბურჟუაზიულ რევოლიუციის». აქედან აშკარაა. განაგრძობს ანი, რომ ამ სტრიქონების ავტორი არის არა წინააღმდეგი პროგრამის სოციალური ნაწილის, არამედ წინააღმდეგი იმ უტოპიის, რომ გაბატონებული პროლეტარიატი დაკმაყოფილდება რვა საათის სამუშაო დღით, ბურჟუაზიული წყობილების შემოღებით და არა თავისი პროგრამმა-მაქსიმუმის, სოციალიზმის განხორციელებით. ასეთი დადგენილება მიიღო პარტიაში მხოლოდ ბოლშევიკებმა და არა მენშევიკებმა...»

«ქართული სტატიების ავტორი რომ არ ქადაგობს შემოკლებას პოლიტიკური ლოზუნგების. შესუსტებას კლასიური ბრძოლის და სხ. სჩანს მისი სიტყვებიდან: «ეს არ ნიშნავს რომ მომავალ მოძრაობაში პროლეტარიატი იქნება ბურჟუაზიის კუდი. მისი კლასიური შეგნება და ღრმა ეკონომიური ბრძოლა ვერასოდეს ვერ მიიყვანს მას ასეთ ძალამდე. ბურჟუაზიას არ ძალუძს უპროლეტარიატოთ დაამყაროს ახალი წყობილება. ბრძოლა მარტო ბურჟუაზიის ან მარტო პროლეტარიატის ვერასოდეს ვერ დასცემს რეაქციას. მაგრამ რადგანაც ეს ორი კლასი ერთიმეორის კუდი ვერ იქნებიან, აშკარაა, რომ მათი ძალების გაერთება. ამ ძალთა ეს თუ ის კომბინაცია და საერთო მიზნისაკენ მიმართვა—ერთათ-ერთი საწინდარია რეაქციაზე გამარჯვების. როგორ უნდა მოხდეს ეს—ეს არის უდიდესი ტაქტიკური საკითხი...»

რამდენათ გამართლდა ეს ტაქტიკური დებულება 1917 წ.—ყველამ იცის. რეაქცია მართლაც დამარცხდა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შეერთებული ძალ-ღონით. რევოლიუციის შემდეგი ეტაპი—ბოლშევიკური ტირანიის დამყარება—რასაკვირველია იმ დროს ვერ იქნებოდა გათვალისწინებული და მასზე პასუხი გაცემული.

ანი თავის პასუხს ათავებს ასე:

«ზემო თქმულიდან აშკარაა, რომ «წერილი კავკასიიდან» წარმოადგენს პასკვილს, რის გასაღება აშენებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ქავთულ ენას და ქართულ წერილებს არ იცნობენ. ეს ერთი იმ არასვინდისიერი ბრძოლის საშუალებათაგანია. რასაც წინეთ ხშირათ აწარმოებდენ ადგილობრივ და რის გადმოტანა განუზრახავთ ახლა პარტიის პრესაშიაც».

ეს პასუხი დარჩა უპასუხოთ. სტალინმა შეიშრო ეს ბრალდებანი. აღარ წარმოუდგენია თავისი გასამართლებელი საბუთები. მან საჯაროთ დაიმსახურა პასკვილანტის, ყალბის მქნელის სახელი და ჩაჩუმდა.

და აი ახლა ეს პასკვილი გახდა კომუნისტური პარტიის მისაბაძი მაგალითი. როგორიც ღვდელი, ისეთი მრევლი. სტალინის სამრევლო რა იქნება თუ არა «არა კეთილსინდისიერთა», სიცრუის და სიყალბის თაყვანისცემელთა თავყრილობა.

ძველი.

პროფინტერნის გაკოტრება

რუსეთში პროფ-კავშირები გადაქცეულია სტალინის ნება სურვილის ბრმა აღმასრულებლათ. დღევანდელ მათი მოქმედების შესახებ საკმარისია აღინიშნოს, რომ ისინი გააფთრებით ებრძვიან ხელფასის მომატების ყოველივე ცდას. ერთი მაგალითი ათას სხვათა შორის: პროფკავშირების ცენტრ. პროფბიურო ორგანო «ტრუდ» (14 იანვარი და 27 თებ.) სჩიოდა მანქანათა საამშენებლო მრეწველობაში გადამეტებულ ხელფასის გაღებას და მოითხოვდა. რომ პროკურორს სისხლის სამართლის ბრალდებით პასუხისგებაში მიეცა მრეწველობის ხელმძღვანელნი. რამდენია მაგალითი როცა წითელი დირექცია, მწარე სინამდვილით ჩიხში მომწყვდეული. იძულებული ხდება გაძვალტყავებულ. ილაჯგაწყვეტილ მუშას «შრომის ხელფასის ფონდიდგან» ცოტა გადმოუგდოს, მაგრამ აქ «კომიაჩეიკის» თვალი ფხიზლობს; პროფბიურო გადაშლის სტარიფო ცხრილს. შეიქნება განგაში «გამცემლობასა» და «გადახრაზე». აუწევენ ყურს წითელ მართველობას. დაითხოვენ «შემჩნეულ» მუშებს (თუ დათხოვა აკმარეს!). აირევა წარმოების საქმე და ასე დაუსრულებლივ...

აი ასეთი მუშათა კავშირებისაგან შესდგება პროფინტერნი.

მაგრამ ამ უკანასკნელის დაარსების მიზანს. როგორც ეს აღნიშნულია მისი წესდების პირველ მუხლში, შეადგენს დაპყრობა ევროპის მუშათა რიგების, ფაბრიკა-ქარხნებში «კომიაჩეიკების» შექმნა, მუშათა ხელმძღვანელების სახელის გატეხა მრეწველობის კრიზისის გამოწვევა და სხვ. და აი ათ წელზე მეტია რაც პროფინტერნის აგენტები ცდილობენ ე. წ. ამსტერდამის მუშათა ინტერნაციონალის დანგრევას.

პირველ ხანებში ომისაგან დაქანცულ პროლეტარულ მასებს შეექნა ერთგვარი ილიუზიები ბოლშევიკური ექსპერიმენტების შესახებ და პროფინტერნმაც შესძლო გაეჩინა თავისი დასაყრდნობი ძალები სხვადასხვა ქვეყნებში; მაგრამ გადის დრო და ხანი, მწარე სინამდვილის გავლენით იმედის გორები ყინულივით დნება და პროფინტერნის ვარსკვლავიც ქრება. დღეს მის სახელსაც კი იშვიათად ახსენებენ ევროპაში; მის დიდ ბატონს—კომინტერნს უცხოეთში შერჩა მხოლოდ კომუნისტური პარტიების შეთხელებული რიგები. უკანასკნელ წლების ეკონომიურმა კრიზისმა და უმუშევრობამ ისევე ფრთები შეასხა პროფინტერნ კომინტერნის სურვილებს; მაგრამ მათი მოლოდინი არამც თუ არ გამართლდა, არამედ მოხდა სრულიად წინააღმდეგი.

მაგალითად, საფრანგეთში. სადაც უკვე შემოიჭრა ეკონომიური კრიზისი. მოსალოდნელი იყო კომ. პარტიის და პროფკავშირების გაძლიერება. ნამდვილათ კი ხდება სულ სხვა რამ; აი რას სწერდა ამ უკანასკნელთ ბეჭდვითი ორგანო: «ავათმყოფობა უნიტარული (კომუნისტური) კავშირების უფრო და უფრო სერიოზული ხდება, დაშლა, ლიკვიდაცია... ასეთია ჩივილი რომელსაც გაიგონებთ ჩვენი კავშირების რიგებში. უნიტარული მოძრაობა განსაცდელშია, ყოველ დღიურად ვკარგავთ წევრებს. ახლები კი არ მოდიან; მარტო პარიზის რაიონში დავკარგეთ 10.000 წევრზედ მეტი» («l' a vie ouvrière»).

თავისუფალ (შრომის კონფედერაცია) კავშირების კონგრესმა წელს გამოუშვა მანიფესტი კავშირების გაერთიანების მოწოდებით, ხოლო ეს გაერთიანება ძირიდგან უნდა მოხდესო: ადგილობრივად კავშირები ერთდებიან და ეს გაერთიანებული ორგანიზაციები მოიწვევენ გაერთიანებულ კონგრესს. ამავე ხანებში. მომხდარ უნიტარულ სინდიკატების კონგრესმა ეს წინადადება უარყო. ხელმძღვანელობა დაფრთხა... ადგილობრივად კი მრავალ უნიტარულ სინდიკატებმა წაავლეს ხელი ხსენებულ წინადადებას და ცენტრის სურვილის წინააღმდეგ შეუდგენ გაერთიანებას; მაგალითად, რკინის გზის უდიდესი სინდიკატი და აგრეთვე პროვინციელ დიდი ქალაქების სინდიკატები გაერთიანების პროცესში არიან,—ეს გაერთიანება ხდება თავისუფალ კავშირების ხელმძღვანელობით და მფარველობით.

გერმანია-ავსტრიაში მოსკოვმა ვერ შესძლო გაეთიშა კავშირები და შიგნიდგან აფეთქების ტაქტიკა არჩია ე. წ. ოპოზიციურ ჯგუფების შექმნით. ლოზოვსკი ასე ახასიათებდა გასული წლის კონგრესზე (არ ვიცით წელს, რას იტყვიან. რადგან პროფინტერნის კონგრესი დაუზოლავებლათ იდება) მდგომარეობას: «ჩვენ დავკარგეთ პოზიციები ხსენებულ ქვეყნებში, რაც აიხსნება არა მარტო რეფორმისტების შემოტევით, არამედ ჩვენი უტაქტობით და უილაჯობით. ყოველი ცდა კომუნისტების გერმანიაში—თავის სასარგებლოთ გამოეყენებიათ გაფიცვები, მაგ. ჰამბურგში. საქსონიაში, ტურინგიაში და სხვაგან, სრული გაკოტრებით გათავდა... და თავისუფალ კავშირების პრესტიჟი აიწია». ამასვე იმეორებს დაახლოვებით გერმანელი დელეგატი ეკერი. მიუხედავათ ასეთი დაშლისა და განადგურებისა, ალბათ გულწასულ ყრილობის გამოსაბრუნებლათ, ლოზოვსკიმ უბიდგან 18 მილიონი წევრი ამოაძრია, «ტრუდ»მა ცოტა «დაირცხვინა» და ეს რიცხვი 12 მილიონ 780.000 წევრზე ჩამოიყვანა. ამაში 12 მილიონი ეკუთვნის საბჭოთა «მუშათა კავშირებს». დარჩა უცხოეთისთვის 780.000 წევრი. აქედან საფრანგეთის წითელი სინდიკატები იკუთვნებდენ 409,595 წევრს... დღეს მათ ამ რიცხვის არც მეათედი შერჩენიათ, რაც ნათლად გამოირკვა წლევანდელ მათ კონგრესზე. მაგრამ ასეც რომ მივიღოთ, დარჩა 15 ქვეყნისთვის 370.680 წევრი აქედან მოსკოვის სტატისტიკამ ქექა. ქექა და სადღაც ტანატუკაში (ჩინეთში ყოფილა) 12,000 წევრი გამოჩეკა. გერმანიაში ბოლშევიკური სტატისტიკა იძლევა 15.000 მიმდევართ. ინგლისში, კომსტასტიკა ითვლის 240 ათას, ინგლისელი დელეგატი კი აცხადებს რომ წევრთა რიცხვი არ აღემატება 3000 (ალბად წამოცდა). ჩეხო სლოვაკიაში კომსინდიკატები საგრძნობ ძალას წარმოადგენდენ ერთ დროს; მაგრამ შემდეგ ჯერ გაემიჯნენ კომუნისტურ პარტიას, შემდეგ, გაფიცვის ტაქტიკის გამო, დაიშალენ და მათი წევრები დაუბრუნდენ ძველ თავისუფალ კავშირებს. დარჩა უმნიშვნელო დაჯგუფებანი, რომელთა რიცხვი თანდათანობით კლებულობს. ბალკანეთში. სკანდინავიის ქვეყნებში, ლიმიტროფებში—თუ პირველ ხანებში კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი «წითელ» სინდიკატების არსებობაზე, დღეს ესენი ზოგან სრულებით გაქრა, ან და სრულიად უმნიშვნელო ჯგუფებათ იქცა, მათ არავითარი გავლენა არ აქვთ თავიანთ ქვეყნის მუშათა მოძრაობაზე...

ევროპაში ხეპრული ტაქტიკის შედეგები თავიანთ აგენტებს გადააბრალეს მოსკოვის ბატონებმა და ახალი დირექტივებით გამოისტუმრეს დელეგატები: საჭიროა ყურადღება მიაქციოთ მუშათა ყოველდღიურ მოთხოვნილებებს, მათი ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვას, მუშათა კანონების გატარებას და სხ.» ხოლო ამავე დროს ლოზოვსკი ასეთი დარიგებით მიმართავდა დელეგატებს: «გაფიცვა საშვალებაა მიზნისაკენ—კაპიტალისტურ რეჟიმში სახელმწიფო ძლიერების, მისი აპარატის დასანგრევათ». თითეული ეკონომიური გაფიცვის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება—აი ლოზუნგი რომელსაც ქადაგებდენ და შეძლებისდაგვარად ანხორციელებდენ მოსკოვის ემისრები ევროპაში. ამ ტაქტიკამ სწორედ გაანადგურა კომ სინდიკატები, და ეხლა კიდეც იხევს უკან მოსკოვი.

მოკლეთ, პროფინტერნი დღეს არავითარ ინტერნაციონალურ ორგანიზაციას აღარ წარმოადგენს, მან საბოლოოთ დაკარგა გავლენა და ის მცირე ჯგუფები, რომლებიც მან კომინტერნის სამსახურში დააყენა მთელი ქვეყნის გადასაბრუნებლათ, მას გაემიჯნენ, მათ სამუდამოთ პირი იბრუნეს მისგან...

პ. ხარ—ძე.

საფრანგეთის სოც. პარტიის კონგრესი

საფრ. სოციალისტური პარტიის მე 29 კონგრესი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე იყო თავის დადგენილებების პოლიტიკური შედეგებით. უკანასკნელ საკანონმდებლო არჩევნებში გამარჯვებამ დღის წესრიგში დააყენა სოციალისტების მთავრობაში მონაწილეობის საკითხი. მაშინ როდესაც სოც. ინტერნაციონალის თითქმის ყველა სექციებმა ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა და ის ტაქტიკის საკითხად აღიარა. საფრანგეთის სოც. პარტიაში ის დღემდის სადისკუსიო საგანს შეადგენს. ეს აიხსნება საფრანგეთის დემოკრატიის განსაკუთრებული პოლიტიკური გამომეტყველებით. თუ სოც. პარტია პროლეტარიატის კლასიური მებაირახტრეა და მისი მომავლის იმედების მატარებელი, სამაგიეროთ ის მარტო როდია დემოკრატიის პოლიტიკურ მისწრაფებათა გამომხატველი. მის გვერდით არსებობს წვრილ-ბურჟუაზიული, უაღრესად დემოკრატიული პარტია რადიკალებისა. რომლის სკოლაში აღიზარდა საფრანგეთის დემოკრატია და რომელიც დღემდე ხელმძღვანელობს ამ დემოკრატიის პოლიტიკურ მოძრაობას. ასე როდი იყო ევროპის სხვა ქვეყნებში. თითქმის ყველგან დემოკრატიის ზრდა ორგანიულად იყო და არის გადაჯაჭვული სოც. პარტიების ბრძოლასთან და ამით აიხსნება ის გარემოება რომ ისინი იძულებული არიან დროგამოშვებით ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავათ გააფთრებული რეაქციის შემოტევისაგან. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ახსნა იმ ისტორიული პარადოქსის, რომ ჟორესის პარტიას ჯერაც არ გადაუწყვეტია ის საკითხი. რომელიც ბებელის პარტიამ დიდი ხანია თავისი პრაქტიკული პოლიტიკის საგნათ გაიხადა. მოხდა, ასე ვთქვათ, პარტიული აზრის შემოტრიალება. რომლის მიზეზი ამ ქვეყნების (საფრანგეთი და გერმანია) განსხვავებულ პოლიტიკურ დიფერენციაში უნდა ვეძიოთ. 1932 წ. მაისის არჩევნები საფრანგეთში ხასიათდება მემარჯვენე ნაციონალურ ბლოკის დამარცხებით და კომუნიზმის სრული განადგურებით. ამ უკანასკნელთ 11 დეპუტ. ძლივს გაიყვანეს. მემარცხნე პარტიებმა პალატაში მოიპოვეს აბსოლიუტიური უმრავლესობა. ახალი პალატა 615 დეპუტატისაგან შესდგება აბსოლ. უმრავლესობა შეადგენს 308. ხოლო მემარცხნე პარტიების ეფექტივი, სოციალისტების ჩათვლით. 380 აღწევს, რაც საჭირო რიცხვს საგრძნობლად აღემატება. ამ რიცხვში მთავარი ელემენტია რადიკალების პარტია 156 დეპუტატით და სოც. პარტია 131 დეპუტატით *). ამიტომ ხვალინდელი მთავრობისათვის სოციალისტების დახმარება აუცილებელი იყო. დღევანდლამდე პარტია უარყოფდა თანამშრომლობის შესაძლებლობას და წმინდა დოქტრინალური მოსაზრებით ის პარტიისათვის დამღუპველათ მიაჩნდა. ამ შეურიგებლობას ის საკუთარი «raison d'être»-ს საკითხად ასაღებდა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სოციალურ კანონმდებლობის მხრით, საფრანგეთი ერთობ ჩამორჩენილია და ის რადიკალურ რეფორმებს მოითხოვს, აშკარაა. რომ პარტიული აზრი თანამშრომლობის სასარგებლოთ უნდა დამუშავებულიყო. რენოდელის მოწოდებამ თანამშრომლობისაკენ ერთბაშად გამოძახილი ჰპოვა. პარტიის თითქმის ყველა ფედერაციებმა თანამშრომლობის იდეა წამოაყენა. ერთბაშათ მოიხსნა ის დოქტრინალური შეუძლებლობა, რომელსაც საკითხის დადებითად გადაჭრა პარტიულ კატასტროფათ წარმოედგინა. კონგრესმა ერთხმად აღიარა მთავრობაში მონაწილეობის აუცილებლობა და წამოაყენა საკუთარი პროგრამა-მინიმუმი ანუ «რვეული», როგორც წინასწარი პირობა. ეს პროგრამა შეიცავს 9 მუხლს.

1. ზავის განმტკიცება ერთა შეთანხმების და სავალდებულო არბიტრაჟის ორგანიზაციით.
2. სამხედრო იარაღის დამზადების ნაციონალიზაცია.
3. ბიუჯეტის წონასწორობაში მოყვანა სამხედრო ხარჯების მასიური შემცირებით.
4. ბანკების კონტროლი.
5. მიწათმოქმედების დაცვა ყოველგვარი სპეკულიაციისაგან.
6. ტრანსპორტის გაერთიანება და ნაციონალიზაცია.
7. დაზღვევის სისტემის გაერთიანება და კერძო დაზღვევის მონოპოლიის სახელმწიფოსათვის დაბრუნება.
8. 40 საათიანი კვირის შემოღება ხელფასის დაუკლებლად.
9. საყოველთაო პოლიტიკური ამნისტია.

ასეთი იყო ბაზა, რომელზედაც უნდა აშენებულიყო კონგრესის აზრით ორი დიდი პარტიის თანამშრომლობა. როგორც ვხედავთ ამ რეფორმების გატარება მართლაც გაბედულ და ენერგიულ ხელს მოითხოვდა. რადიკალურ პარტიის ტრადიციაში კი არასდროს არ ყოფილა, რომ მთავრობის შედგენა წინასწარ შემუშავებულ პროგრამისათვის დაემორჩილებიათ. პარტია მხოლოდ ავალებდა თავის წარმომადგენლებს საჭირო რეფორმები შესაძლებლობის მომენტების თანახმად გაეტარებია. ცნობილია. რომ რადიკალების პარტია არსებითად წვრილ ბურჟუაზიულია. ამიტომ მისი ცდა რეფორმების გატარებისა მოკლებულია სიღრმეს და გამბედაობას. დღევანდელი მდგომარეობა კი ამ რევოლიუციონურ გამბედაობას მოითხოვს და მისი მატარებელი ცხადია სოციალისტური პარტია იქნებოდა. კონგრესმა კი თავის თანამშრომლობას მეტად დიდი ფასი დაადვა და პროგრამა მინიმუმში წამოაყენა ისეთი საკითხები, რომელთა ეროვნულ ფარგლებში გადაწყვეტა მართლაც შეუძლებელია, როგორც არის ზავის და არბიტრაჟის. განიარაღების, 40 საათიანი სამუშაო კვირის და სხ. საკითხები. ეს ის ზომებია, რომელთა გატარებას გარდაუვალი აუცილებლობით მოითხოვს თანამედროვე მდგომარეობა კრიზისის შესანელებლათ. მაგრამ როგორც საერთაშორისოა თვით კრიზისი, ისევე საერთაშორისო პოლიტიკის საგანია მისი შემანელებელი რეფორმები. დღეს აღარ არსებობს დამოუკიდებელი ნაციონალური ეკონომიური პოლიტიკა. ამდენად კონგრესის მიერ ერთხმად მიღებული თანამშრომლობა წინასწარ დამორჩილებულ იქნა ისეთ პირობებს, რომლებიც ამ თანამშრომლობას არსებითად შეუძლებლად ხდიდა.

აღსანიშნავია, მეორე მხრით, ის გარემოება, რომ რადიკალების პარტიას ოდნავადაც არ უცდია ამ შეურიგებლობის შენელება და საერთო ენის გამონახვა. დაშინებული 1924 წლის ექსპერიმენტებით, როცა კარტელი ხელოვნური საბოტაჟის მსხვერპლი გახდა, როცა ფინანსიური ეკზოდი და კრედიტის დაცემა მისი მესაფლავე შეიქნა. რადიკალური პარტია ერთობ ფრთხილად მოეპყრა სოციალისტების თანამშრომლობის საკითხს და წამოყენებულ პირობებზე მოლაპარაკების წარმოებაც კა არ მოინდომა. თავის «პროგრამა-სიტყვაში» ერიომ პასუხის ღირსიც არ გახადა სოციალისტების პროგრამის უმთავრესი მუხლები და ამით მან უხმოდ გულზე ხელი ჰკრა მის შესაძლ[illegible]რეებს პარლამენტარულ ბრძოლა[illegible]

ამრიგად, ორივე პარტიის შეურიგებლობამ წმინდა მემარცხნე პოლიტიკის შესაძლებლობა. ვინ იცის რამდენი ხნით. დღის წესრიგიდან მოხსნა. რადგან მისი წარმოება სოციალისტების თანამშრომლობის გარეშე რადიკალებისათვის შეუძლებელია. ამ შეურიგებლობის შედეგები შეიძლება ერთობ მწვავე დარჩეს, როგორც საფრანგეთის ისე მსოფლიო დემოკრატიისათვის. ამ მოსაზრებით ჩვენ გულითად სურვილს შეუერთებთ კონგრესის ერთსულოვან მიმართვას ქვეყნისადმი: «სოციალისტურ პარტიის ერთად ერთი სურვილია, რომ მუშათა კლასი, დემოკრატია და მშვიდობიანობა არ დაზარალებულიყოს ამ გადაჭარბებული სიფრთხილისა და გაუბედაობისაგან».

სოციალისტური მოძრაობის დღევანდელი მისია დემოკრატიის გადარჩენაა ყველა ჯურის რეაქციის შემოტევისაგან. მისი ზრდა გამარჯვების უტყუარი მაჩვენებელია. ის უნდა გახდეს ფაშისტურ-ბოლშევიკური რეაქციის მესაფლავე.

ვ. ინწკირველი.

მუშათა სოციალ. ინტერნაციონალის ეკზეკუტივის სხდომა

გასულ მაისში ციურიხში შესდგა მუშათა სოციალ. ინტერნაციონალის ეკზეკუტივის (აღმასკომის) სესია, რომელმაც მიიღო ორი მთავარი რეზოლიუცია: შორეულ აღმოსავლეთში ომის საშიშროებისა და დუნაის სახელმწიფოებში მძვინვარე კრიზისის წინააღმდეგ განძრახულ ზომების შესახებ.

შორეულ აღმოსავლეთში ომის საშიშროების შესახებ მიღებული რეზოლიუციის შინაარსი გადმოცემულია ზევით (იხ. კ გვარჯალაძის წერილი «ინტერნაც. ეკზეკუტივის სხდომის გამო»).

მეორე რეზოლიუცია მიიღო ეკზეკუტივმა ეგრედ წოდებულ «დუნაის სახელმწიფოთა ფედერაციის» შესახებ: ევროპის აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში დაარსებულ ახალ სახელმწიფოთ შეეძლოთ ეკონომიურათაც დაწინაურებულიყვენ, რომ მათი ურთიერთობა დამყარებული იყოს თავისუფალ აღებმიცემობაზე და არა პროტექციონიზმზე. რომელიც გაბატონებულია საერთოთ ევროპაში და განსაკუთრებით ხსენებულ სახელმწიფოებში და შეადგენს მუშათა და გლეხთა გალატაკების წყაროს.

მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი მიესალმება ყოველივე ცდას საერთაშორისო აღებ-მიცემის თავისუფლების დაბრკოლებათა დაძლევისას. მაგრამ დუნაის სახელმწიფოთა შორის «უპირატესობის» ტარიფის დაწესება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება პროგრესიული, თუ ეს ტარიფი იქნება საგრძნობლათ ნაკლები ეხლახან არსებულთან შედარებით, და თუ ამ ქვეყანათა შორის ეხლანდელზე უფრო მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობათა დაწესებას თან დაემატა ზომები, რომლებიც გაადვილებენ აღებ მიცემობას დუნაის სახელმწიფოთა და იმ ქვეყანათა შორის, რომელთაც განსაკუთრებული როლი უჭირავთ ამ უკანასკნელთა ექსპორტში და იმპორტში.

მაგრამ დუნაის სახელმწიფოთა შორის უფრო მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობის დამყარების საქმე არას შემთხვევაში არ უნდა გახდეს საბაბი რაიმე კომბინაციისა ან პოლიტიკურ კავშირისა პოლიტიკური გაბატონების თუ იმპერიალისტური მიზნით, სულ ერთია საფრანგეთის, იტალიის თუ გერმანიის იმპერიალისტური მიზნების სასარგებლოთ იქნება ეს.

ეკზეკუტივი მოითხოვს, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებში გაჯანსაღებულ იქნას აგრეთვე ფულის სისტემის საქმე. მაგრამ ამავე დროს ის წინააღმდეგია ფულის სისტემის აღდგენის ისეთ პროექტებისა, რომელიც ამ საქმეს უკავშირებს ზოგიერთ ქვეყანათა ფინანსებზე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, რადგან გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ყოველგვარი საერთაშორისო კონტროლი, ზოგიერთ ქვეყნების ფინანსებზე დაწესებული. ემსახურება არა თავის პირდაპირ მიზანს, არამედ მუშათა ხელფასის დაკლებას და კონტროლს ქვეშ მყოფ ქვეყნის სოციალურ დაწესებულებათა შეზღუდვას.

იმ შემთხვევისათვის, თუ საერთაშორისო მოლაპარაკებამ დუნაის სახელმწიფოთა ეკონომიურ ურთიერთობის შესახებ უფრო კონკრეტიული სახე მიიღო, ეკზეკუტივი სთხოვს სეკრეტარიატს მოიწვიოს ამ საქმეში დაინტერესებულ ქვეყანათა სოციალისტური პარტიების კონფერენცია ამ რეზოლიუციაში გათვალისწინებულ პროექტების განხორციელებისათვის ხელის შესაწყობათ.

ეკზეკუტივის სხდომას წინ უძღოდა «საერთაშორისო პროლეტარიატის კონფერენცია განიარაღების საკითხზე». ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვენ 22 ქვეყნის პროფეს. კავშირები და სოციალისტური პარტიები. კონფერენციამ მიიღო ვრცელი რეზოლიუცია—შეიარაღების საკითხზე. რომლის მთავარი მოთხოვნილებებია ეხლახან მიმდინარე განიარაღების კონფერენციისათვის: 1. თავდასხმითი იარაღების გაუქმება, რაიცა იქნებოდა პირველი ნაბიჯი ყველა სახელმწიფოების უფლებათა და მოვალეობათა გათანასწორებაში. ეს გაუქმება უნდა შეიცავდეს აღკრძალვას საჰაერო შეიარაღებისას. მსხვილი ყალიბის ზარბაზნებისა და ტანკებისას, ათი ათას ტონაზე მეტ სამხედრო გემებისას. ჰაეროპლანების მატარებელ გემების და წყალქვეშა ნავებისას და ყოველგვარ მუშაობისა ქიმიური და საბაქტერიო ომის მოსამზადებლათ. 2. ამ ზომებს უნდა დაემატოს, ერთის მხრით, სამოქალაქო ავიაციის ინტერნაციონალიზაცია და მისი მშენებლობის სასტიკი კონტროლი, და, მეორეს მხრით. შეიარაღებისათვის გაწეულ ხარჯთა შემცირება. 3. იარაღის ყველა დანარჩენ კატეგორიებისათვის. განიარაღების პირველი ეტაპი უნდა გამოიხატოს მნიშვნელოვან შემცირებაში. 4. უნდა მოწყობილ იქნას სასტიკი საერთაშორისო კონტროლი. განსაკუთრებით უდემოკრატიო ქვეყნებისათვის.

კონფერენცია მოითხოვს აგრეთვე იარაღთა კერძო დამზადების სრულ აღკვეთას და ამ დარგის ინდუსტრიულ საწარმოოთა ნაციონალიზაციას, ისე როგორც იარაღის საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლაზე სასტიკი კონტროლის დაწესებას.

---

*) 1914 პარტიამ მიიღო 1.300.000 ხმა და გაიყვანა 84 დეპუტატი. 1928 წ. მიუხედავათ კომუნისტურ განხეთქილების 1.650.000 ხმა და 102 დეპ. ხოლო 1932 წ. 1.950.000 ხმა და 130 დეპ.

დაბოლოს კონფერენცია აცხადებს: «თუ კაპიტალისტური ქვეყნის ბატონ-პატრონნი უძლურნი აღმოჩნდენ შექმნან ისეთი პოლიტიკური პირობები, რომელშიც შესაძლებელი გახდება თანამედროვე კრიზისის მოგვარება და იმ კატასტროფის თავიდან აცილება, რომელიც ეხლა ქვეყნიერებას ემუქრება, საჭირო გახდება, რომ პროლეტარიატმა მარტო აიღოს თავისთავზე ამ პირობების აღდგენა».

კონფერენცია მოუწოდებს მშრომელთ მზათ იყვენ აუცილებელ ბრძოლისათვის.

◆

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა და პოლიტიკა.

პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი.

ეს კონგრესი შეიკრიბა ჟენევაში 16 აპრილს. მას დაესწრო 28 სხვადასხვა სახელმწიფოდან პროფესიონალურ კავშირთა 82 წარმომადგენელი.

კონგრესი იყო საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის უდიდესი დემონსტრაცია. აქ სრული ერთსულოვნება არსებობდა როგორც პროგრამულ, ისე ყველა ტაქტიკურ საკითხების გარჩევის დროს

კონგრესზე ყველა სხვა მოთხოვნილებათა და გადაწყვეტილებათა შორის დიდი ყურადღება მიექცა სამუშაო დროს კვირეულათ 40 საათამდე შემცირებას, ხელფასის იმ რაოდენობის შენარჩუნებით, რომელსაც დღეს იღებენ მუშები, და ფართე მასების მომხმარებითი საშუალების გაზრდას.

პირველ რიგში იდგა აგრეთვე ნაციონალურ და ინტერნაციონალურ სამუშაოთა პროგრამა მრავალ მილიონ უმუშევართათვის, შეიარაღებისათვის გიჟურ, განუსაზღვრელ ფლანგვის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთათ. უნდა მოგვარდეს კრედიტის საქმე და საკრედიტო ინტერნაციონალურ პოლიტიკას გაეწიოს სასტიკი კონტროლი, რათა გამონახულ იქნას სახსარი ზემო აღნიშნულ ზომათა ცხოვრებაში გასატარებლათ.

აღიარებულ უნდა იქნას აგრეთვე, რომ დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობის გაჯანსაღება შეუძლებელია, სანამ რეპარაციების და საერთაშორისო ვალების მეტად რთული საკითხები არ იქნება სათანადოთ და საბოლოოთ მოგვარებული. აუცილებელია, რომ პასუხისმგებელ სახელმწიფოებმა ინტერნაციონალურ ეკონომიკის და გაცვლა-გამოცვლის დიდი დარგების მეთოდიურ და ორგანიზაციულათ მოწყობის საქმეში ითანამშრომლონ მუშათა ორგანიზაციებთან.

ასეთი ცვლილება მოითხოვს, რომ მასთან ერთათ და იმავე დროს ეკონომიური ცხოვრების და კონტროლის ყველა დარგებში გაძლიერებულ იქნას დემოკრატიული ორგანოების მნიშვნელობა და გავლენა.

უმუშევრები ყოველგან უნდა იღებდენ სახელმწიფოებრივ დახმარებას. სოციალურ დაზღვევის მოწინააღმდეგეთ უნდა გაეწიოს სასტიკი ბრძოლა. მუშათა ორგანიზაციებს ყოველგან და შეუზღუდველათ უნდა შეეძლოთ თავისუფლათ აწარმოვონ მათი ინტერესების დაცვა.

პროფესიონალურ მოძრაობის და აზრის თავისუფლება პროლეტარიატის მოქმედების საშუალებათა შორის წარმოადგენს მკვიდრ საფუძველს მუშათა კლასის არსებობის და მისი შრომის პირობების გაუმჯობესების.

კონგრესი მთელი პასუხისმგებლობის შეგნებით მოაგონებს ყველა ქვეყნების მუშებს, რომ დღეს პროფესიონალური ორგანიზაციების გარდაუვალი მოვალეობაა აწარმოვონ ბრძოლა ნაციონალურ და ინტერნაციონალურ ასპარეზზე ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა ცხოვრებაში გასატარებლათ.

შვეციის სოციალ-დემოკრატიის კონგრესი.

მარტის დამლევ რიცხვებში შვეციის სოც. დემოკრატიის კონგრესს სტოლგოლმში დაესწრო 414 დელეგატი.

პარტიის ლიდერმა ჰანსონმა გააკეთა მოხსენება საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ეს მოხსენება მოწონებულ და ერთხმათ უკამათოთ იქნა მიღებული.

კონგრესმა თავის მუშაობის ცენტრში დააყენა ეროვნულ თავდაცვის პრობლემა.

შემოტანილი იყო წინადადება ცალმხრივი განიარაღების და საომარ იარაღის დამზადების თუ გაყიდვის აკრძალვისა.

მიღებულ იქნა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის აზრი, რომ განიარაღების პრინციპი სავალდებულოა ყველასათვის; რაც შეეხება ცალმხრივ განიარაღებას, ეს ტაქტიკის სფეროს ეკუთვნის და მისი პროგრამაში აქედანვე ფიქსაცია არ იქნება მიზანშეწონილი. იარაღის კეთება, თუ მისი შემოტანის მონოპოლია კერძო პირებიდან უნდა გადავიდეს სახელმწიფოს ხელში. დაარსებულ უნდა იქნას აგრეთვე საერთაშორისო კონტროლი, როგორც იარაღის დამზადებიზე, ისე მის ყიდვა-გაყიდვაზე.

პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს თავმჯდომარეთ და მის გენერალურ მდივნათ კონგრესის მიერ ერთხმათ იქნენ არჩეული ჰანსონი და გუსტავ მოლერი.

1923 წლის განმავლობაში შვეციის სოციალისტურ პარტიას 12.000 ახალი წევრი მოემატა. პარტიის წევრთა რიცხვი 289.623 აღწევს, ე. ი. დღეს ორ ჯერ მეტია იმაზე, რაც 1923 წელში იყო.

განხეთქილება ჰოლანდიის სოციალ დემოკრატიულ პარტიაში.

ჰოლანდიის სოციალ დემოკრატიული პარტიის უკანასკნელ ყრილობის მსჯელობის მთავარი საგანი იყო ის უთანხმოება, რომელსაც პარტიაში ამ ბოლო ხანებში ქონდა ადგილი. პარტიის ერთი ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობდა შმიდტი და ცნობილი ბოლშევიზასი ფიმენი, უკმაყოფილო იყო პარტიის ტაქტიკით და მის რადიკალიზაციას მოითხოვდა. პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს ნებადაურთველათ მათ დაარსეს ორი ჟურნალი.. პარტიის კომპეტენტურ ორგანოების ნებადაურთველათ იწვევდენ აგრეთვე კრებებს, სადაც საჯაროთ ახდენდენ დისკუსიებს პარტიის ტაქტიკის შესახებ.

ყრილობამ შმიდტ-ფიმენის ჯგუფის ასეთი საქციელი არ მოიწონა, რასაც შედეგათ მოყვა ამ ჯგუფის პარტიიდან გასვლა და მის მიერ ცალკე პარტიის დაარსება «დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის» სახელწოდებით.

ჰოლანდიის სოციალ დემოკრატიულ პარტიაში დღეს 79.920 წევრი ითვლება. პარტიის პრესის ტირაჟი 75.000-ს აღწევს.

დანიის სოციალდემოკრატია.

დანიის სოციალდემოკრატიის წლიური მოხსენება იტყობინება, რომ მიუხედავათ დიდი ეკონომიური კრიზისისა, პარტიის ლიდერის—შტაუნინგის უკანასკნელი წლის მთავრობის თავმჯდომარეობის დროს პარტიის წევრთა რიცხვი საგრძნობლათ გაიზარდა. 1931 წლის 31 დეკემბრისათვის პარტიაში ირიცხებოდა 174.000 წევრი, რომელთა შორის 115.000 მამკაცი და 59. 000 ქალი იყო.

ლატვიის სოციალდემოკრატიული პარტია.

აპრილის პირველ რიცხვებში ქალაქ რიგაში შესდგა ლატვიის სოც. დემოკრატიული პარტიის ყრილობა, რომელსაც დაესწრო 366 დელეგატი.

ყრილობის მთავარი საგანი იყო «პოლიტიკური მდგომარეობა და სოციალდემოკრატიის ამოცანები». მოხსენებას ამ თემაზე, რომელიც განსაკუთრებით ეხებოდა პარტიის მთავრობაში მონაწილეობას, აკეთებდა პარტიის თავმჯდომარე—მენდერსი. მისი აზრით დღევანდელ პირობებში პარტიის მონაწილეობა მთავრობაში არ არის მიზანშეწონილი და დასაშვები. კონტრმომხსენებელი იყო ცელენსი, რომელიც მენდერსის საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა და მთავრობაში მონაწილეობას შესაძლებლათ და საჭიროთ სთვლიდა. ცელენსის წინადადებას მხოლოდ რამოდენიმე კაცი უჭერდა მხარს. მენდერსის რეზოლიუციამ კი მიიღო 206 ხმა 4 წინააღმდეგ.

გასული წლის დამლევისათვის ლატვიის სოციალდემოკრატიულ პარტიაში 12.695 წევრი ითვლებოდა. მას აქვს 13 ყოველდღიური, თუ კვირეული და თვიური გამოცემა. იმ წლის განმავლობაში მას მოუწყვია 1.255 სახალხო კრება, რომელსაც 265.010 მსმენელი დასწრებია, გაუვრცელებია 1,321.756 ფურცელი და ბროშურა.

მუნიციპალური არჩევნები ავსტრიაში.

ავსტრიის მუნციპალურ ირჩევნებში სოც. დემოკრატიამ ყველგან შეინარჩუნა თავის პოზიციები. ვენა წინანდებურათ რჩება ციტადელი ავსტრიის სოციალიზმისა. მუნიციპალიტეტში არჩეულია 66 სოც. დემოკრატი, 19 ქრისტიან სოციალისტი და 15 ნაციონალ-სოციალისტი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მუნიციპალიტეტის წევრთა რიცხვი შემცირებულ იქნა 120-დან 100-მდე, სოც. დემოკრატები იგებენ ერთ ადგილს, ქრისტიან სოციალისტები კი კარგავენ 15 ადგილს ნაციონალ-სოციალისტების სასარგებლოთ.

ქრისტიან სოციალისტების ასეთი დამარცხება აიხსნება მით, რომ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ისინი მუდამ მხარს უჭერდენ და დიდი თანაგრძობით ეპყრობოდენ ჰაიმვერებს. ამათ კი შექონდათ ბურჟუაზიულ ახალგაზდობაში ანტიდემოკრატიული და ფაშისტური სულისკვეთება, რითაც ასე მოხერხებულათ ისარგებლეს ნაციონალ-სოციალისტებმა.

◆

ბიბლიოგრაფია

კ. კანდელაკი—ეკონომიური კრიზისი. პარიზი 1932. დ. ხელაძის გამოცემა № 2. ფასი 5 ფრ.

მიმდინარე წელს ქართულ მეცნიერულ ლიტერატურას შეეძინა ღირსშესანიშნავი წიგნი—«ეკონომიური კრიზისი»—კ. კანდელაკის, დ. ხელაძის გამოცემა. პარიზი 1932 წ.

ვინც თვალყურს ადევნებს დღევანდელ ცხოვრების საჭირბოროტო რთულ კითხვას—ეკონომიურ კრიზისებისას—და მით უმეტეს მათთვის ვინც დღევანდელ კრიზისს განიცდის, დასახელებული 77 გვერდიანი წიგნი, მათთვის აუცილებლად ერთგვარი განძია; ის განსაკუთრებით სასარგებლოა ჩვენი მუშებისა და ახალგაზდობისათვის.

პირველიდან ყურადღებას იპყრობს გარეგნულად მშვენიერი გამოცემა, რაც ემიგრაციაში არაჩვეულებრივია. შემდეგ, ეჭვს გარეშეა, მკითხველს ხიბლავს ავტორის მიერ საგნის ღრმა ცოდნა, დაკვირვება, რთული და მძიმე კითხვის გაადვილება და უმწიკვლო ქართული ენა.

როგორც მოგეხსენებათ, კაი ხანია მთელ მსოფლიოს მოედო ჯერ არ გაგონილი ეკონომიური კრიზისი, კაცობრიობა შესძრა, ღრმა საგონებელში ჩააგდო და აზროვნებაც ყირამალა დააყენა. წინამდებარე წიგნის ავტორი ამ «საშინელი სენის» შესახებ ამბობს: «ზოგი ფიქრობს, რომ კაპიტალისტური რეჟიმი გაკოტრდა და იმის სრული კატასტროფით უნდა დასრულდეს ეს მსოფლიო კრიზისი; ზოგს კი, წინააღმდეგ, დამღუპველათ ის მიაჩნია, რომ კაპიტალისტურ წესწყობილებაში მძლავრად შემოიჭრა სოციალისტური სულისკვეთება და ამ უკანასკნელის ძირიანად აღკვეცა დაამყარებს ქვეყნად კეთილდღეობას»-ო. და აი, ავტორი თანახმად დაგროვილი მრავალ მასალისა წიგნის I თავში არკვევს მსოფლიო კრიზისის მიზეზებს და ყურადღებას აქცევს ამათ შორის ისეთებს, «რომელთაც ორგანიული კავშირი აქვთ თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების ორგანიზაციასთან, კაპიტალისტურ წარმოების წესთან და ურთიერთობასთან». მეორე თავში ავტორი ასურათებს იმ კეთილდღეობის ხანას, რომელიც წინ უძღოდა დღევანდელ კრიზისს. «პირველი რგოლი, რომელიც მოწყდა ამ ჯაჭვს მსოფლიო ეკონომიურ კეთილდღეობისას და რომელმაც თანდათან ჩაიყოლა უფსკრულში ეკონომიურ ცხოვრების სხვა დარგებიც იყო სოფლის მეურნეობა» სოფლის მეურნეობის კრიზისი წიგნის მე-III თავში მოკლედ და მეტად მკაფიოდ განხილულია და ავტორი ამბობს: «სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა საკმარისი იყო, რომ მას საერთო ეკონომიური კრიზისი გამოეწვია»-ო და დასძენს: «მრეწველობაშიც თავისთავად მწიფდებოდა პირობები, რომელნიც მას დამოუკიდებლივ კრიზისს უმზადებდა»-ო და თანამომდევრო თავებში ვეცნობით მრეწველობის კრიზისს და ფინანსიურს, რომელიც გამომხატველია წარმოებაში შექმნილ ურთიერთობის.

ამრიგათ, ავტორი უტყუარ ფაქტიურ მასალას დაყრდნობილი, სწორი მეცნიერული საზომითა და საწყაოთი ზომავს მსოფლიოს დღევანდელ მეურნეობის ყველა დარგს, წარმოების, ვაჭრობა-მრეწველობის საერთოდ შეფერხება-შეჩერებას, ყოველგან ყველა დარგში დიდ უმუშევრობას და აღნიშნავს ყოველგან და ყველას მიერ ამის გამო დიდ მომჭირნეობის გამოჩენას, ხოლო შემდეგ იგი ეხება საბჭოთა კავშირს, (თავი 6) რომელიც, ავტორის სიტყვით, «ერთად-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს» მსოფლიოში ამ საოცარი დიდი კრიზისის ხანაში და «სახალხო მეურნეობის ასპარეზზე შექმნილ მდგომარეობით» კმაყოფილი ხელს ჰკიდებს «უზარმაზარ გეგმების განხორციელებას»... მაშასადამე, საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე თანადროული სახალხო მეურნეობის თვისებანი, «როგორც ორგანიული მიზეზები ეკონომიური კრიზისების», ვითომც არ არსებობს. საბჭოთა «კურთხეულ ქვეყნებმა» დღეს სიმშილი, სიტიტვლე, უმუშევრობა არ იცის, იქ თხა და მგელიც ერთად ძოვენ, ფიქრობენ, საბჭოთა გარეშე ქვეყნების ამაში დარწმუნებას. და «ეკონომიური სინამდვილის ანგარიშ გაუწევლად» ბოლშევიკები შეუდგენ «სოციალიზმის» ხორცშესხმას. ავტორი ობიექტიურათ იკვლევს საბჭოთა მეურნეობას და კვლევა-ძიების თანახმად ამბობს: «საბჭოთა სახალხო მეურნეობა კრიზისს კი არა, უარესს მდგომარეობას განიცდის. ეს მთელი ქაოსია... ბოლოს სად მივა ეს მეურნეობა ან რა წესს დაემორჩილება, ვისი ინტერესების გამომხატველია იგი დღეს და რომელ ღმერთს ემსახურება თვითონ დიქტატორებმაც არ იციან»... საბჭოთა მეურნეობა კარჩაკეტილობის გამო, «გარედ ურიგოთ, მუხანათურათ» გამოსვლით მას ყველა ერიდება და «იგი ორგანიულად არ არის გადაბმული საერთაშორისო აღებმიცემობასთან», ამიტომ შინაურ ბაზარს და მცხოვრებთა მყიდველობითი ძალას ემყარება და «ამავე დროს, ამბობს ამ ფრიად საყურადღებო წიგნის ავტორი, ამ მოსახლეობის 80 პროც. მეტი—გლეხობა ისპობა, როგორც დამოუკიდებელი მეურნე, და კარგავს მნიშვნელობას, როგორც მთავრობიდან დამოუკიდებელი მყიდველი და გადამხდელი ძალა»... რასაკვირველია, გლეხთა მეურნეობა «კოლექტიურ» მეურნეობაში გადადის, მაგრამ, ვინ იცის, რა სხვადასხვა ექსპერიმენტებს არ მოახდენენ საბჭოთა დღევანდელ ტერიტორიის მცხოვრებლებზე!.. უეჭველია, მსოფლიოში არ გაგონილ ადამიანებზე მათი ეს ექსპერიმენტები, როგორც სამართლიანად ავტორი აღნიშნავს. «ერთ მშვენიერ დღეს საბჭოთა სოციალისტურ აღმშენებლობას» და მის სისტემასაც «საპნის ბუშტივით» გააქრობს...

წიგნის უკანასკნელი თავი (VII) განსაკუთრებით საყურადღებოა. ავტორის მიერ აქ არის განხილული სასწორმხედველო აზრით, თუ სად არის გამოსავალი ამ კრიზისიდან. ზემოთქმულიდან ავტორის აზრი ვიცით, «რომ ეკონომიური კრიზისების უმთავრეს მიზეზებს ორგანიული კავშირი აქვთ თვით თანამედროვე წესწყობილების ძირითად საფუძვლებთან». მაშასადამე, მიმდინარე კრიზისი, «რომელმაც ასეთი არაჩვეულებრივი ხასიათი მიიღო, უნდა დამთავრდეს კაპიტალისტური წესწყობილების კატასტროფით?»—კითხულობს ავტორი და იქვე უარყოფითად უპასუხებს. იგი აზროვნებს: «ახლანდელ წესწყობილების მესვეურნი» ამ კატასტროფის ასაცდენ საშუალებას გამონახვენ, ვინაიდან კაპიტალისტურ რეჟიმს ჯერ კიდევ «არ ამოუწურავს ყველა საშუალებანი თავის თავის დაცვის და განვითარებისაც: არც მატერიალურად, არც ფსიქოლოგიურად». დღევანდელ კრიზისის და მის მიერ გამოწვეულ «გასაჭირის გამო ახლა რომ სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა შეტაკება მოხდეს, იგი დამთავრდება მსოფლიო მასშტაბით საშინელ რეაქციით... სოციალისტებმა რომ გაიმარჯვონ კიდეც მსოფლიო მასშტაბით, წარმოუდგენელია, რომ მათ ერთბაშათ უარყონ არსებული კაპიტალისტურ წარმოების და ურთიერთობის ნიადაგი, ახლავე სოციალიზმის განხორციელებას შეუდგენ და ანგარიში არ გაუწიონ იმ არასოციალისტურ დემოკრატიას, რომელიც ჯერ კიდევ მათი თანამგზავრია პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში»... ამ უმაგალითო კრიზისების დასაამებლათ, რასაკვირველია, დღეს მიმართვენ ხოლმე სხვადასხვა ზომებს. ამ მრავალ ზომებს, გეგმებს და პროექტებს საფუძლიანათ გაეცნობა მკითხველი წიგნის წაკითხვის დროს, მაგრამ ეს პალიატივები ეკონომიურ კრიზისებს ვერ აღმოფხვრენ, «რაც დრო გადის, ამბობს იგი, წინააღმდეგობა ეკონომიურ ნიადაგზე უფრო და უფრო ღრმავდება დედამიწის სხვადასხვა კუთხეთა და სხვადასხვა სახელმწიფოთა... მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის». დღევანდელი ცხოვრება ხალხთა შორის მშვიდობიანობას და თანამშრომლობას დაქინებით ითხოვს, ჩამორჩენილები ვითარდება, დაპყრობილი ერები თანდათან თავისუფლდებიან, დღევანდელ ვითარებაში «მწარმოებელი არის ყველაფერი, მომხმარებელი კი არაფერი... ეკონომიური კრიზისი—ეს აჯანყებაა მომხმარებლისა მწარმოებლის წინააღმდეგ». მომხმარებლები «მწარმოებელთა ვიწრო ჯგუფურ ინტერესებზე» გაიმარჯვებს, ამით შეიცვლება «ახლანდელი წესი», წარმოება მოთხოვნილების მორჩილი შეიქნება და ამ არევდარევას, პერიოდულ კრიზისებს, ბოლო მოეღება. «ეს იქნება ახალი წესწყობილება, ამბობს ავტორი, რომლისკენ მიყავს კაცობრიობა საწარმოვო ძალთა ზრდას, ცოდნისა და ტეხნიკის განვითარებას»... ეს ხდება თანდათანობით «საიმედო ნაბიჯით» და ეს მომავალი იქნება სოციალიზმი...

დასასრულ, ყველას ვურჩევთ ამ ფრიად საყურადღებო წიგნის შეძენას.

ზ.

◆

რედაქციისაგან

აქვე ვათავსებთ კ. რაზმაძის წერილს, რომელიც მივიღეთ მას შემდეგ, რაც გასული თვის ნომერი (24) უკვე შედგენილი იყო.

მკითხველი დაინახავს, რომ ეს წერილი პასუხს არ იძლევა ჩვენს «მცირე შენიშვნა»ში მოყვანილ ფაქტიურ მასალაზე და ოდნავათაც არ აბათილებს ჩვენს მიერ მოცემულ დახასიათებას მისი წიგნისას.

პასუხი „მცირე შენიშვნაზე"

ბიბლიოთეკა

ამხანაგო რედაქტორო!

თანახმად საფრანგეთში მომქმედ კანონებისა (იხ. 1881 წ. 29 ივლ. კან. მუხ. 13, შესწ. 1919 წ. 29 სეკტ. კან.) გთხოვთ «ბრძოლის ხმის» მომავალ № 24-ში იმავე გვერდზე, სადაც ჩემი საწინააღმდეგო წერილი დაიბეჭდა, მოათავსოთ შემდეგი ჩემი პასუხი:

ჩემი წიგნი შეიცავს მხოლოდ უცხოეთში მყოფ ზოგიერთ მეთაურთა მიერ პარტიის წინაშე ჩადენილ სიყალბეთა მხილებას.

ამან აღნიშნულ პირებში დიდი აღშფოთება გამოიწვია, რასაც ისინი პარტიული ამხანაგების აღშფოთებათ ასაღებენ. პარტიული დისციპლინის დარღვევათ მითვლიან, რადგან არ ვანებებ პარტიის დოკუმენტათ გაასაღონ ის, რაშიაც პარტიას არაფერი წილი უდევს. მათ ასეთი ხერხისათვის ეხლაც მიუმართავთ და შენიშვნა «გაუმდიდრებიათ» «ცეკას წერილით» ჩემი არა «პარტიულობის» შესახებ. 1917 წლიდან ვითვლები პარტიაში. 1921 წლიდან ვმუშაობდი ახალგაზდების ცეკასთან და პარტიაში. ვასრულებდი მათ მიერ დაკისრებულ საპასუხისმგებლო დავალებებს. პარტიასთან არასდროს კავშირი არ გამიწყვეტია. ცეკას მიერ საგანგებოთ ვიყავი გამოგზავნილი 1929 წელს საზღვარ-გარეთელ ხელმძღვანელებთან მანდატით და რწმუნებულებით, რომელშიდაც აღნიშნულია პოლიტიკური და ტეხნიკური დავალებანი. ყოველივე ეს ჩავაბარე ამხ. ნ. ჟორდანიას, რაც რედაქციამაც კარგათ იცის.

ჩემი წიგნაკი რამოდენიმეთ ემსახურება სწორედ ამ დავალებების ასრულებას. და თუ ის ვინმეს «აფეთქებს»—ეს მხოლოდ იმათ, ვინც პარტიის ნებისყოფას აყალბებს და მისი სახელით ბოროტათ სარგებლობს.

ამხ-რი ს-მით კოტე რაზმაძე.

28 აპრილი 1932 წელი.
პარიზი.

◆

26 მაისი პრაღაში

წელს, როგორც ყოველთვის, საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე, 26 მაისს მოწყობილ იქნა აქ საზეიმო დღე შესაფერი პროგრამით და გამოსვლებით. ვათავსებთ დღის ანგარიშს იმის მიხედვით, რაც დაიბეჭდა ჩეხოსლოვაკიის სოც. დემოკრ. პარტიის ცენტრ ორგანო «პრავო ლიდუ»ში ამ ზეიმის გარშემო.

ხსენებული გაზეთის 26 მაისის ნომერში მოთავსებული იყო სათაურით—საზეიმო დღე საქართველოს დემოკრატიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის—შემდეგი: «26 მაისი არის საქართველოსთვის ეროვნული და სახელმწიფოებრივი დღესასწაული, ისე როგორც 28 ოქტომბერი ჩეხოსლოვაკიისთვის. ცნობილია, რომ ქართველი ერი იყო პირველ რიგებში რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის, რომელიც მიმართული იყო ცარიზმის დასამხობათ და სახალხო მართვა-გამგეობის დასამყარებლათ. 1918 წ. 26 მაისს გამოცხადებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სოც. დემოკრატიის მეთაურობით. ახალი დემოკრატიული სახელმწიფო იცვნეს ევროპის სახელმწიფოებმა, როგორც დე ფაქტოთ, ისე დე იურეთ და აგრეთვე თვით საბჭოთა რუსეთმა პოლიტიკური ხელშეკრულობით 1920 წ. 7 მაისს. განსაკუთრებული ყურადღებით და ინტერესით ადევნებდა თვალყურს სოციალისტური ინტერნაციონალი საქართველოს ბედ-იღბალს, ვინაიდან იქ ხდებოდა პირველი ცდა თანამედროვე სახელმწიფო შენების უუსრულესი დემოკრატიის პრინციპებზე. მთელი ექვსი თვე დაჰყო იქ სოციალიზმის პატრიარქმა კ. კაუცკიმ და აღფრთოვანებული იყო ახალგაზდა დემოკრატიის აღმშენებლობითი მუშაობით. სხვათა შორის იქ დასწერა მან წიგნი: «საქართველოს სოც. დემოკრ. გლეხთა რესპუბლიკა». 1921 წ. საქართველო დაიპყრო სამხედრო ძალით ბოლშევიკურმა მოსკოვმა. ქართველი ხალხი არ სცნობს ამ ოკუპაციას და ამხ. ჟორდანიას მეთაურობით განაგრძობს ბრძოლას მისი დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენათ. ყოველ წლობით, ამ ისტორიულ წლის თავზე სხვადასხვა ალაგას თავს იყრის ქართული დემოკრატიული და სოციალისტური ემიგრაცია. ამ დღეობას უერთდებიან საქართველოს დაცვის კომიტეტები რომლებიც არსებობენ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში და ამერიკაშიც კი. დღეს ისე, როგორც ყოველ წელს, შეიკრიბება ქართული ემიგრაცია აქაც, ჩვენში, და მასთან ერთად საქართველოს დაცვის კომიტეტის წევრებიც.

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ სწორეთ ეხლახან გამოსულ მაისის ნომერში «ბრძოლის ხმა», რომელიც გამოდის პარიზში და არის ორგანო საქართველოს სოციალდემოკრ. მუშათა პარტიისა, მოთავსებულია წერილი ამხ. სოუკუპის, სენატის თავმჯდომარის, ამ ისტორიული დღის მნიშვნელობის შესახებ საქართველოსთვის. წერილი არის მეთაურის მაგიერი».

ამავე გაზეთის 28 მაისის ნომერში ვკითხულობთ: «საქართველოს იუბილე. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წლის თავზე 26 მაისს შესდგა სასტუმრო «მონოპოლის» საზამთრო ბალში ტრადიციული მანიფესტაცია საქართველოს სოციალისტური ემიგრაციის, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენელნი სხვადასხვა დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების რუსეთის ყოფილი იმპერიიდან. დაესწრნენ მრავალი ჩვენი ამხანაგებიც. ზეიმს თავმჯდომარეობდა სენატის თავმჯდომარე დ-რი სოუკუპი, რომელმაც ილაპარაკა ამ დღის მნიშვნელობის შესახებ საქართველოსთვის და იმ ამოცანებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ერების წინაშე დგას ამ ისტორიულ მომენტში. ქართველებიდან ილაპარაკეს ემუხვარმა, ლომთათიძემ და უბირიამ; რუსებიდან ჩერნოვმა, გურევიჩმა და არხანგელსკიმ; უკრაინელებიდან დრ. ფედენკომ და პროფ. სლავინსკიმ; სომხებიდან დრ. ჰახნაზარიანმა; ბელორუსებიდან ზახარკომ და გრიბმა. საბოლოო სიტყვაში დრ. სოუკუპმა უსურვა წარმატება საქართველოს და მის სოციალდემოკრატიას, რომელიც სდგას მისი ქვეყნის განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. მანიფესტაცია დაიშალა, უსურვა რა კიდევ ხანგრძლივი, წარმატებითი მუშაობა საქართველოს პრეზიდენტს ჟორდანიას და ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს მასარიკს.»

ელ.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise.*

Le Gérant : René Toussaint.